# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №262 (2635) ოთხშაბათი, 22 ოქტომბერი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

## გაიმართა იუსტიციის საბჭოს მორიგი სხდომა

21 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა იუსტიციის საბჭოს მორიგი სხდომა.

განიხილეს საქართველოს იუსტიციის საბჭოს რეგლამენტი, საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და განრიგი, ასევე, უზენაესი სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარის კანდიდატურა.

გაიმართა მსჯელობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებზე.

### სიტუაცია

## ზურაბ ჟვანია: „არ მეგონა, თუ ტერორისტობასაც დამწამებდნენ"



მართლაც, ყუმბარის აფეთქების ეფექტი ჰქონდა ბათუმის ყოფილი მერის თამაზ ხარაზის მიერ აჭარის ტელევიზიით გაკეთებულ განცხადებას – პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე ზაფხულში ჩემთან შეხვედრის დროს ასლან აბაშიძის ხელისუფლების დამხობას მთავაზობდნენო!

ბუნებრივია, განცხადება, რომლითაც ქვეყნის მეორე პირს, „რიგით" როსტომ დოლიძეზე რომ არაფერი ვთქვათ, ტერორისტობასა და „პუტჩისტობაში" ედებოდა ბრალი, უპასუხოდ ვერ დარჩებოდა.

გუშინ გაიმართა ზურაბ ჟვანიას და როსტომ დოლიძის პრესკონფერენცია, რომელზეც ბევრი რამ გაირკვა.

იხ. მე – 2 გვ.

### გვიპასუხებენ

## მოგვეცით ჩვენი ფული!

მერამდენედ გაისმის „საქართველოს რესპუბლიკიდან" ეს საგანგაშო სიგნალი რაიონების ბანკების მისამართით „იხსენით ჩვენი სულების" მსგავსი.

იმახეთ რამდენიც გსურთ, მოვალე ბანკებს სმენის ისეთი დაქვეითებას სჭირთ, სხვისი ფულების საკუთარ ჯიბეში მრიალიც არ ესმით.

ამ ფონზე მადლობის მეტი რა გვეთქმის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნოდარ ჯავახიშვილის მიმართ, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი წერილი მესახებ იმისა, რომ „შავი ზღვის სააქციო ბანკს" (გენერალური დირექტორი შ. ფუტკარაძე) დღემდე არ გადმოურიცხავს გაზეთის გამომცემლის შპს „პრესისათვის" 1996 წლის მეორე ნახევრისა და 1997 წლის პირველი ნახევრის ხელმოწერის თანხა 45848 ლარის ოდენობით.

ბატონმა ნოდარ ჯავახიშვილმა კატეგორიულად მიუთითა ბანკის გენერალურ დირექტორს: „საქართველოს ეროვნული ბანკი გავალებთ, დაუყოვნებლივ გადმოურიცხოთ აღნიშნული თანხა ადრესატს – შპს „პრესას", რომლის რეკვიზიტებია ქ. თბილისი, კომერციული ბანკი „კრედიტი", ა/ა 100467998 (700161403), კოდი 522964. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ განხორციელებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული მკაცრი სანქციები".

### პოეზია

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

## მიწა!

ვეტრფი ისე, ვით შეჰფერს,
ცას — ერთი ბჭო სიტყვას,
ვითარ ჰაჰაჩემს — ეფრემს,
ცის დაფიცება მიყვარს.

მაგრამ სულ სხვაა მიწა,
სულ სხვა სურნელი
დასდის,
მიწავ, შენს სახელს ვფიცავ,
სხვის მიწას ვერ შეგადრი.

მიწავ, შენს მეტი ვინ მწამს,
ვეტრფი შენს მთას და
შენს კლდეს.
რად არ გასკდები მიწავ,
რად არ ჩამიტან
ქვესკნელს...

1997 წლის 18 ოქტომბერი.

### რეფორმა

**მიხეილ ჭკუასელი,** ფინანსთა მინისტრი

## მაღალმა საბიუჯეტო მაჩვენებლებმა მაღალი ფაქტობრივი შედეგები გამოიღო

ბატონო პრეზიდენტო!

ბატონებო და ქალბატონებო!

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება განიხილება, როგორც ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ხელშემწყობი მექანიზმი, რომელმაც სახელმწიფო ფინანსების სფეროში მიღწეული სტაბილიზაციის შემდგომი განმტკიცებით ხელი უნდა შეუწყოს მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შემდგომ გაღრმავებას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიღწეული ტემპების შენარჩუნებას და შემდგომ დაჩქარებას.

საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკაში არსებული ძირითადი მიზნობრივი კრიტერიუმების დაცვაზე მიუთითებს იმ სტაბილიზაციური პროცესების შემდგომი განვითარებაც, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში აღინიშნება და რაზედაც ვრცლად ილაპარაკა ბატონმა ლადომ თავის გამოსვლაში.

მიმდინარე წლის ცხრა თვის შედეგებით ქვეყანაში შექმნილმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა წინასწარი შეფასებით ნომინალურ გამოხატულებაში შეადგინა 4,3 მლნ ლარი და არსებობს იმის ვარაუდი, რომ წლის შედეგებით ის საპროგნოზო მაჩვენებელს – 6,5-6,8 მლრდ ლარს მიაღწევს, რაც შესაბამისი ხელშემწყობი პირობების არსებობის შემთხვევაში მყარი გარანტი იქნება მომავალი წლის საპროგნოზო მაჩვენებლის მიღწევისათვის. კარგი შედეგებია მიღწეული ინფლაციის ტემპების დარეგულირებაშიც, რაც მკაცრი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელების შედეგსაც წარმოადგენს. სიმყარეს ინარჩუნებს ლარის კურსიც, რომელიც პრაქტიკულად უცვლელია 1997 წლის დასაწყისიდან.

ძვრები შეინიშნება წარმოების სფეროში. 1997 წლის 9 თვეში სამრეწველო წარმოების რეგისტრირებული ნაწილის მოცულობის ზრდამ 1996 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 12 პროცენტი შეადგინა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების ალმაველობისა და სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის პოტენციური შესაძლებლობები, ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში მხოლოდ მცირე ზომითაა გამოყენებული. რეზერვები კი დიდია.

იხ. მე – 3 გვ.

### დღეს და ხვალ

## კიშინიოვში განიხილავენ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიმდინარეობის საკითხს

22-23 ოქტომბერს მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში გაიმართება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოების სხდომები.

22 ოქტომბერს გაიმართება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა. მეორე დღეს კი, 23 ოქტომბერს პარალელურად გაიმართება თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების და სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოების სხდომები. განიხილავენ ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროში თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის პრობლემებს, იმსჯელებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში კონფლიქტური სიტუაციებისა და კოლექტიური უშიშროების საკითხებზე, ხელს მოაწერენ მთელ რიგ დოკუმენტებს, რომელთა პროექტები წინასწარაა შეთანხმებული.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოების მუშაობის დღის წესრიგში შეტანილია საკითხი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიმდინარეობის თაობაზე.

დაგეგმილია სხდომებზე ამ და სხვა საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ი. მენაღარიშვილისა და საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის გამოსვლები.

### ინფორმაცია

**პარლამენტის ბიუროს სხდომა**

21 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს მომავალი კვირის – 28-31 ოქტომბრის პლენარული სხდომის დღის წესრიგი.

შეიძლება ითქვას, რომ მომავალი პლენარული სხდომაც ფრიად დატვირთული იქნება. დღის წესრიგით გათვალისწინებულია ოთხ ათეულამდე კანონპროექტის განხილვა, დაგეგმილია სამთავრობო საათი, აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხილვის დაწყება პირველი მოსმენით.

ბიუროს სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

**„ჩემს კომპეტენციაში არ შედის"**

თბილისში ჩინეთის ვიცე-პრემიერის ვახა არსანოვის ვიზიტის შემდეგ ჩინეთის საინფორმაციო საშუალებებში გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას საქართველოსა და ჩინეთს შორის შეთანხმება მოხდა ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციის კომენტირებისას ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ასეთი სახის შეთანხმებების მიღება.

**მოაცურე ჩემსკენ ნავი...**

რუსეთი აპირებს გადასცეს საქართველოს რამდენიმე სამხედრო ხომალდი. უახლოეს მომავალში მოელიან რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ამ საკითხის თაობაზე. ეს განაცხადა გუშინ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი შტაბის უფროსმა ადმირალმა ვლადიმერ კუროედოვმა.

ადმირალ კუროედოვის განცხადებით, „რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ურთიერთობა ვითარდება ისე, როგორც უნდა განვითარდეს ორ მეგობარ სახელმწიფოს შორის". ადმირალს მიაჩნია, რომ შავი ზღვის რეგიონის თითოეულ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა მისი უშიშროების უზრუნველყოფისათვის. „მეზღვაურებს ყოველთვის აქვთ მრავალი საერთო ამოცანა ზღვაზე და მათ ერთად უნდა იმუშაონ", – აღნიშნა ვლადიმერ კუროედოვმა.

**15 დღეში 15 მილიონი ლარი**

საქართველოს საგადასახადო სამსახურის ოპერატიული მონაცემებით, ოქტომბრის თვის პირველ ნახევარში საგადასახადო ინსპექციის ხაზით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში აკრეფილია 15 მილიონი ლარი.

**ფირმა – სანტა კლაუსი – თბილისელებს**

ერთ-ერთმა თბილისურმა ფირმამ შეიძინა 8 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი, რომელსაც წლის ბოლომდე მიაწვდიან იმ რაიონების მცხოვრებლებს, სადაც დამონტაჟებულია სპეციალური მრიცხველები და მოსახლეობა შეძლებს მოხმარებული გაზის საფასურის გადახდას.

**გაიყოფენ ძმები გაძვირებულ თხილის გულს?**

წლეულს გურიაში შესაძლებელი გახდა კერძო მეურნეობათა მიერ ორგანიზებულად დამზადებულიყო და რესპუბლიკის შიდა ბაზარზე გატანილიყო ათას ტონამდე თხილის ნაყოფი, რომლის მესასყიდი ფასი 60-70 თეთრიდან 1,5 ლარამდე გაიზარდა. ჩანს, გურიაში თხილი პერსპექტიული და რენტაბელური კულტურაა.

გურიის მხარის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტის საფუძველზე უახლოეს მომავალში შეიძენენ თხილის გადამმუშავებელი საწარმოსათვის საჭირო დანადგარებს.

**ცოტაც და დაიწამლებოდნენ**

რამდენიმე დღის წინათ ცხინვალის ხელისუფალთა ბრძანებით სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდათ სამაჩაბლოს ქართულ სოფლებს – თამარაშენს, კეხვს და აჩაბეთს. როგორც ბეას კორესპონდენტს ლუდვიგ ჩიბიროვის ადმინისტრაციაში აცნობეს, სოფლებს ერთი სათავე ნაგებობიდან მიეწოდებათ სასმელი წყალი და იგი კატასტროფულ მდგომარეობაშია.

რომ არა ეს ღონისძიება, შესაძლოა სოფელი ინფექციური დაავადებების კერა გამხდარიყო. აღდგენითი სამუშაოებისათვის, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის გაანგარიშებით, 45 მლნ რუბლია საჭირო. თანხის დიდი ნაწილის გაღებას, როგორც ბეას კორესპონდენტს აცნობეს, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ირაკლი ბოჭორიძე აპირებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „ბეამ", „მოამბე-ექსპრესმა".

### უკანასკნელ საათს

ალმა-ათა. გუშინ ძალაში შევიდა ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ 10 დეკემბრიდან ქალაქი აკმოლა ცხადდება რესპუბლიკის დედაქალაქად. ამ თარიღისათვის აქ უნდა გადავიდეს ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის ყველა უმაღლესი და ცენტრალური ორგანო.

დელი. სამშაბათს საფრანგეთსა და გერმანიაში დაიწყო ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის ინდერ ქუმარ გუჯრალის ვიზიტი, რომლის მთავარი მიზანია, მიანიჭონ იმპულსი დასავლეთევროპელ პარტნიორებთან ინდოეთის პოლიტიკური და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას.

სინგაპური (ჰონკონგი). სინგაპურში დააპატიმრეს იმ ორი გემის კაპიტნები, რომელთა შეჯახების შედეგად მალაკის სრუტეში დაიღვარა 25 ათასი ტონა ნავთობი. კაპიტნები – პოლონელი იან სოკოლოვსკი (ტაილანდის სუპერტანკერი) და ბერძენი მიქაელ რალტიკისი (კვიპროსში რეგისტრირებული ნავთობჩასასხმელი ტანკერი) დაპატიმრებული არიან გამოძიების დამთავრებამდე. გემები ერთმანეთს შეეჯახნენ დღისით, კარგი ხილვადობის დროს.

### ტრადიცია

## სოფლის ნობათი – თბილისობას



ფოტო თბილისობის არქივიდან: ცეკვავენ თბილისის საპატიო მოქალაქენი ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.

**აღდგენილი და აწ უკვე ტრადიციადქცეული თბილისობის ზეიმამდე რამდენიმე დღე დარჩა. ორგანიზაციები, ვის მარიფათზეც მისი წარმატება არის დამოკიდებული, დიდი ხანია, ემზადებიან. მათ შორის არის „ცეკავშირიც".**

– 15 ოქტომბერს ცეკავშირის გამგეობამ გამოსცა სპეციალური განკარგულება, რომელშიც განსაზღვრულია როგორც ზეიმის ორგანიზაციული, ისე ეკონომიკური მხარე, – ასე დაიწყო საუბარი ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მამია ჭუმბურიძემ. – თბილისის მერიასთან შეთანხმდა მთელი რიგი საკითხები, რომლებმაც, ფაქტობრივად, ზეიმის ფორმაც და შინაარსიც უნდა გამოკვეთოს. სამხარეო და რაიონულ ადმინისტრაციებთან დამყარდა მჭიდრო ურთიერთობა – იქ მიავლინეს გამგეობის წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები. უკვე მიღებულია სათანადო ზომები, რათა რაიკავშირებმა და რაიკოოპერატივებმა უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩამოტანა.

მომავალ შაბათ-კვირას დედაქალაქის ყველა რაიონის მთავარ მოედნებზე თავიანთ ნობათს გამოიტანენ ქართლ-კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, ლეჩხუმ-სვანეთის, რაჭა-მთიანეთის მხარეები.

*– როგორი იქნება პროდუქტების სარეალიზაციო ფასი?*

– საბაზროსთან შედარებით 15-20 პროცენტით ნაკლები. ადრე თითოეულ რაიონს წინასწარ განუსაზღვრავდნენ, რა უნდა ჩამოეტანა და რამდენი, ახლა რაიონები „თავის ნებაზე მიუშვით" – ყველა ჩამოიტანს იმას, რაც შეუძლია, თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, უკვე ვიცით, ვისგან რას უნდა ველოდეთ.

*– სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გარდა, რას შევთავაზებთ თბილისელებს?*

– გათვალისწინებულია კვების ორგანიზაციაც. მაგალითად, რიყეზე 4-5 რაიონი მოემსახურება ამ საქმეს. კონცერნ „თბილისს" სათანადო მითითებაც მივეცით. სხვათა შორის, იმ პროდუქტებს, რომლებიც თბილისობის დღეებში ვერ გაიყიდება, კონცერნი შეთანხმებულ ფასებში ჩაიბარებს შემდგომი რეალიზაციისათვის.

*– ყველაფერი ასე უმტკივნეულოდ მოგვარდა, ხელი არაფერმა შეგიშალათ?*

– ყველაზე დიდი პრობლემა ტრანსპორტი იყო. ისიც სათქმელია, რომ ზოგი მაშინვე ითხოვს ანგარიშსწორებას. ამაზეც ვიფიქრეთ. არის საშუალება, რომ მეწარმე ჩვენი ტრანსპორტით ჩამოვიყვანოთ: დაე, თვითონვე ივაჭროს.

**... მოვიდა თბილისობა, საქართველოს ამერ-იმერის შემოდგომის ბარაქის დათვალიერება. სიკეთე მოეტანოს მას ჩვენი ქვეყნისათვის.**

ელგუჯა ლებანიძე.

### დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის

## ბრძანებულება

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს სამხედრო ძალების სამეთაურო-საშტაბო სწავლება „აბჯარი – 97"-ის მაღალ დონეზე მომზადების, ჩატარების, მასში აქტიური მონაწილეობისა და მიღწეული მაღალი შედეგებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

**ზურაბ მეფარიშვილი** – გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის უფროსი.

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

**ელგუჯა ბუსხრიკიძე** – გენერალ-მაიორი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შტაბის უფროსი

**რობერტ ებრალიძე** – პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალების შტაბის უფროსი, სამხედრო საჰაერო ძალების სარდლის პირველი მოადგილე

**გიგა ირემაძე** – ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცალკეული სადესანტო მოიერიშე ბატალიონის მეთაური

**თემურ ქავთარაძე** – გენერალ-მაიორი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

**დავით გუგულაშვილი** – უფროსი ლეიტენანტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალების შერეული მოიერიშე-გამანადგურებელი საავიაციო პოლკის საავიაციო ესკადრილიის ავიარგოლის მეთაური

**დიმიტრი მეფარიშვილი** – მესამე რანგის კაპიტანი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საზღვაო ძალების შერეული სამხედრო-საზღვაო ბრიგადის მეთაური

**ემზარ მოისწრაფიშვილი** – კაპიტანი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცალკეული სადესანტო მოიერიშე ბატალიონის მეთაურის მოადგილე

**ბესიკ ნორაკიძე** – ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მეთაური

**პეტრე ფიოდოროვი** – პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სურსათ-სანოვაგის სამმართველოს უფროსი

**გენადი ჰაიდაროვი** – პირველი რანგის კაპიტანი, საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სამხედრო საზღვაო ფილიალის უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

**გელა ათაქიშვილი** – კაპიტანი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილის №2054 პირად შემადგენლობასთან მუშაობის ქვეგანყოფილების უფროსი

**ზურაბ გოგოლაძე** – პოლკოვნიკი, საქართველოს სამხედრო ძალების ზურგის უფროსის მოადგილე

**ვლადიმერ იმნაძე** – პოლკოვნიკი, საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსი

**გიორგი კუხიანიძე** – პოლკოვნიკი, საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი

**მამუკა ლიპარტელიანი** – ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შტაბის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი

**თეიმურაზ ლორია** – გენერალ-მაიორი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზურგის დარგში, სამხედრო ძალების ზურგის უფროსი

**მურთაზ მელიქია** – მაიორი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საზენიტო-სარაკეტო ბრიგადის მეთაურის მოადგილე ზურგის დარგში

**ირაკლი სვანიძე** – ლეიტენანტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილის №2053 რადიოასეულის მეთაური

**თემურ ფრიდონიშვილი** – ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო თავდაცვის ჯარების სარდლის მოადგილე შეიარაღებისა და ტექნიკის დარგში

**ოთარ ჩხაროტიშვილი** – პირველი რანგის კაპიტანი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

## ბრძანებულება

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)**

საქართველოს სამხედრო ძალების სამეთაურო-საშტაბო სწავლება „აბჯარი-97"-ის დროს საბრძოლო დავალების შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები:

**გოდერძი დოლიძე** – რიგითი, მეორე მოტომსროლელი ბრიგადის მერვე მოტომსროლელი ბატალიონის პირველი ასეულის მეორე ოცეულის სნაიპერი (სიკვდილის შემდეგ)

**გიორგი პირმისაშვილი** – რიგითი, მეორე მოტომსროლელი ბრიგადის მერვე მოტომსროლელი ბატალიონის პირველი ასეულის პირველი ოცეულის ყუმბარმტყორცნელი (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

## მადლობა გამოეცხადათ

აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მეგობრობაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოეცხადათ მადლობა გაზეთ „გურჯისტანის" თანამშრომლებს:

**შაჰვალად აივაზოვს** – ფოტოკორესპონდენტს, **დუნიამალ ალიევს** – ყოფილ თანამშრომელს, **მამედჰუსეინ ბახთიარლს** – ყოფილ თანამშრომელს, **მამედ გიულმამედოვს** – განყოფილების გამგეს, **თამა თიგიშვილს** – ბუღალტერს, **მუზაიათ იუსუბოვს** – საკუთარ კორესპონდენტს, **ბინათ მამედოვს** – კორესპონდენტს, **შურადინ მამედოვს** – განყოფილების გამგეს, **ეითიბარ ჯალილხოჯას** – მდივან-მემანქანეს, **რაფიქ ჰუმბათოვს** – კორექტორს.

საქართველოს რესპუბლიკა
№262. ოთხშაბათი, 22 ოქტომბერი. 1997 წელი.

სიტუაცია

## ზურაბ ჟვანია: „არ მეგონა, თუ ტერორისტობასაც დამწამებდნენ“

როსტომ დოლიძესა და თამაზ ხარაზს, თურმე, ძველი მეგობრობა აკავშირებთ, იმდენად ძლიერი, რომ ამას ხარაზის თანამდებობაც კი შეეწირა, როცა მან, არჩევნების წინ, დოლიძისთვის 10.000 დოლარის გადაცემა და მისთვის სახელის გატეხა არ ისურვა.

როსტომ დოლიძე და ბათუმის ყოფილი მერი აგვისტოში, პანსიონატ „მეკვეთიში“ მართლაც შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ ამ ფაქტის გარდა როსტომ დოლიძემ ყველაფერი კატეგორიულად უარყო. აჭარის დღევანდელი ხელისუფლების გადატრიალების „დეგეგმვა-შეთავაზებაზე“ საუბარი საერთოდ არ გვქონიაო, პარლამენტის თავმჯდომარის ამ „გარიგებაში“ მონაწილეობა კი სრული აბსურდიაო!

პარლამენტის თავმჯდომარესთან ეპიზოდური კონტაქტი თამაზ ხარაზს მართლაც ჰქონია, ოღონდ... 1995 წელს, როდესაც დეპუტატი ზურაბ ჟვანია ასლან აბაშიძის მიწვევით ბათუმში იმყოფებოდა. მას შემდეგ თამაზ ხარაზი საერთოდ არ უნახავს. ამის შემოწმება ხომ ძალზე ადვილია, რაც თვითონ ზურაბ ჟვანიამაც შენიშნა, — ისეთი ფიგურის გადაადგილება, როგორიც პარლამენტის თავმჯდომარეა, შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა, ამას ხომ მთელი საქართველო ადევნებს თვალს და უწინარეს ყოვლისა, ცნობისმოყვარე ჟურნალისტები.

მაშ, რამ აიძულა ბათუმის ყოფილი მერი ამკარა ტყუილი ეთქვა? ძველი მეგობრისთვისაც ელალატა და ქვეყნის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც „დაესმინა“?

ზურაბ ჟვანიას თქმით, ხსენებული პიროვნება უფრო ვიღაცის დაკვეთას ასრულებს, ვიდრე საკუთარ აზრს გამოხატავს. თუმცა, მან არც ქულების დაგროვებისა და რეიტინგის ამაღლების შესაძლებლობა გამორიცხა, ხოლო, რაც შეეხება აშკარა უტიფრობას და ცილისწამებას, ხარაზს ეს მეთოდი ალბათ ოცდაათიანი წლების არსენალიდან აქვს ამოღებული: რაც შეიძლება მეტი უტიფრობა — მეტი შედეგის მისაღწევად!

ეჭვი არავის ეპარება, რომ თამაზ ხარაზის სატელევიზიო ინტერვიუს შეიძლება თბილისისა და ბათუმის ურთიერთობის ესკალაცია მოჰყვეს. ზურაბ ჟვანიამ ფაქტის საბოლოო კვალიფიკაციისაგან, მოვლენების შემდგომ განვითარებამდე, თავი შეიკავა. ამავე მოტივით მან ამჯობინა ხარაზის სავარაუდო „დამკვეთად“ ასლან აბაშიძე არ დაესახელებინა, მით უმეტეს, რომ ეს მისთვის ძნელად წარმოსადგენია, რადგან აჭარის ხელისუფლება ყოველთვის იყო და არის ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი.

პარლამენტის თავმჯდომარემ ვითარების გამოსარკვევად განცხადებით მიმართა საქართველოს პროკურატურას, ითხოვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ცილისწამებასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, თუ პროკურატურა დაკისრებულ საქმეს თავს ვერ გაართმევს, შეიქმნება საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რომელსაც მაჟორიტარი დეპუტატი უხელმძღვანელებს.

**ლელა მჭედლიძე,**
ჩვენი საპარლამენტო კორესპონდენტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

თანამშრომლობა

***500 მილიონი იენი (დაახლოებით 4 მილიონი აშშ. დოლარი) — ასეთია უსასყიდლო დახმარება (გრანტი), რომელიც იაპონიის მთავრობამ გამოუყო საქართველოს მთავრობას ეკონომიკური სიძნელეების გადასალახავად.***

***ბატონ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით ჩვენი მთავრობის მხრიდან გრანტის მმართველ უფლებამოსილ ორგანოდ დამტკიცდა საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო.***

***ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა ამ უწყების ხელმძღვანელს ბატონ კონსტანტინე ზალდასტანიშვილს მოკლედ მოეთხრო გრანტის ათვისების პირობების შესახებ.***



## გრანტი — ამომავალი მზის ქვეყნიდან

### საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარებისათვის

**— ბატონო კონსტანტინე, რა დანიშნულებით შეიძლება გრანტის თანხების გამოყენება?**

— იაპონიისა და საქართველოს მთავრობებს შორის ნოტების ურთიერთგაცვლის შესაბამისად, გრანტის თანხები გამოყენებულ უნდა იქნეს სხვადასხვა დანიშნულების მანქანა-მოწყობილობის, მასალა-ნედლეულის და მომსახურების (დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების და სატრანსპორტო დაზღვევის, გამონაკლის შემთხვევაში, მონტაჟის ჩათვლით) შესაძენად, ნებისმიერი ქვეყნიდან (გარდა საქართველოსი), რომელიც საბოლოო მომხმარებელს გადაეცემა შესაბამისი პროდუქციის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად.

იაპონიის მხარემ შემოგვთავაზა კიდეც გრანტის ფარგლებში მესაძენი პროდუქციის ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახეობის მანქანა-მოწყობილობას და მასალა-ნედლეულს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ჩამონათვალი გამორიცხავს კვების პროდუქტების, სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის და კომპიუტერული ტექნიკის შეძენას.

შემუშავებულია გრანტის ათვისების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც შესაძენი პროდუქციის საბოლოო მომხმარებელი კონკურსის წესით შეირჩევა.

კონკურსის ჩატარებისა და გრანტის ათვისების პერიოდში წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად ჩვენს სამინისტროსთან შექმნილია საუწყებათაშორისო კომისია. რაც შეეხება გრანტის ათვისების საკონსულტაციო და ორგანიზაციულ ღონისძიებებს, ამ სამუშაოს განახორციელებს სამინისტროს სახაზინო საწარმო „საქართველოს საინვესტიციო ცენტრი“, გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ ერევა. ეს საუწყებათაშორისო კომისიის კომპეტენციაა.

**— ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება?**

— ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, ვისი საკუთრებაც მთლიანად კერძო ფირმისაა.

— გრანტის ფარგლებში შეძენილი პროდუქციის გადაცემის დროს უპირატესობა მიეცემათ იმ მაძიებლებს, რომლებიც წარმოადგენენ გრანტის ფარგლებში მიღებული წარმოების საშუალებების გამოყენების ეკონომიკურად და სოციალურად ყველაზე ეფექტიან პროგრამებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაძიებლის განაცხადში მოთხოვნილი გრანტის თანხებით შესაძენი პროდუქციის ღირებულება არ უნდა იყოს 50 ათას აშშ დოლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 350 ათას აშშ დოლარს.

**— როგორი სქემით ჩატარდება ეს კონკურსი?**

— კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადს წარმოადგენენ სპეციალური ფორმის მიხედვით, რომელსაც მაძიებელი მიიღებს „საქართველოს საინვესტიციო ცენტრში“. აქვე გაეწევა მას პირველი კონსულტაციებიც.

„საქართველოს საინვესტიციო ცენტრი“ განიხილავს შევსებულ განაცხადს, გაესაუბრება მაძიებელს, ადგილზე დაათვალიერებს და შეამოწმებს საწარმოებს, სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით განსაზღვრავს, რამდენად შეესაბამება განაცხადის მეშვეობით წარმოდგენილი პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური მონაცემები გრანტის პირობებს და რამდენად დასაბუთებულია მისი განხორციელების რეალობა.

შერჩეული განაცხადების საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილებას, როგორც მოგახსენეთ, საუწყებათაშორისო კომისია ღებულობს.

**— ჩვენი მეწარმეებისთვის, ალბათ, ყველაზე საინტერესო იქნება ის პირობები, რომლებიც წაეყენება გრანტით შეძენილი პროდუქციის საბოლოო მომხმარებელს.**

— უნდა აღვნიშნო, რომ ეს პირობები საკმაოდ შეღავათიანია; შეძენილი პროდუქცია, რომელიც შემდგომში გადაეცემა კონკურსში გამარჯვებულ მაძიებელს, როგორც გრანტი, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, თავისუფლდება იმპორტის გადასახადიდან.

იაპონიის მთავრობის რეკომენდაციით გრანტით პროდუქციის შეძენის მიზნით ხელი მოეწერა ხელშეკრულებას შუამავალ ფირმასთან — აგენტთან, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებიდან საკონკურსო წესით შეარჩევს მოთხოვნილი პროდუქციის საუკეთესო და შედარებით იაფ მწარმოებლებს.

მომხმარებელს ყველა სახის შესყიდული პროდუქცია გადაეცემა მის მიერ წარმოდგენილი ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის (გირაო, გარანტია) საფუძველზე, რომლის მიმდინარე საბაზრო ღირებულება შეფასებულია დამოუკიდებელი აუდიტის მიერ და მინიმუმ 1,5-ჯერ აღემატება გრანტიდან მოთხოვნილ თანხებს. გირაოდ მიიღება მომხმარებლის საკუთრებაში არსებული საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი საშუალებები, ხოლო გარანტად შეიძლება გამოიყენეს და მიიღება საბანკო, სადაზღვევო და სხვა მსხვილი კომპანიების, ფირმების გარანტიები.

გრანტის ფარგლებში მანქანა-მოწყობილობის მიღების შემთხვევაში, მომხმარებლის სურვილის გათვალისწინებით, გირაოდ შეიძლება ჩაიდოს მოთხოვნილი პროდუქციის შეძენაზე გრანტიდან დახარჯული თანხების 20 პროცენტის ოდენობის ქონება. ამ პროდუქციაზე მესაკუთრის უფლებას მომხმარებელი ღებულობს თანხების მთლიანად დაფარვის შემდეგ.

მომხმარებელმა უნდა დააზღვიოს საგირავნო ქონება და გრანტის ფარგლებში მიღებული პროდუქცია მისი მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში. სადაზღვევო პოლისი და სადაზღვევო ხელშეკრულებები მან უნდა წარმოადგინოს „საქართველოს საინვესტიციო ცენტრში“.

კონკურსში გამარჯვებულმა მაძიებელმა საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე უნდა დააბრუნოს გრანტის ფარგლებში მეძენილი პროდუქციის ღირებულება, ამ პროდუქციის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების, დაზღვევის და შესაძლო მონტაჟის ღირებულების ჩათვლით. თანხები, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, 2000 წლის 8 ივნისამდე უნდა დაბრუნდეს.

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ მომხმარებელმა გრანტის ფარგლებში პროდუქციის შეძენაზე დახარჯული თანხები უნდა დაფაროს ფიქსირებული კურსით 100 იენი — 1.05 ლარი.

მინდა აღვნიშნო, რომ განაცხადები მიიღება 1998 წლის 1 მარტამდე. გრანტის თანხების ამ ვადამდე მთლიანად განაწილების შემთხვევაში, განაცხადების მიღება, რასაკვირველია, უფრო ადრე შეწყდება.

კონკურსის პირობები გამოქვეყნდა გაზეთებში: „ფინანსები“ და „დილის გაზეთი“ (25 სექტემბერს), „ბანკი+“ (26 სექტემბერს). მათი გაცნობა შეიძლება აგრეთვე, „საქართველოს საინვესტიციო ცენტრში“ (ალ. ყაზბეგის გამზ. 42, ტელ: 94-21-17/389639).

**— გამოდის, რომ გრანტით პროდუქციის შეძენაზე დახარჯული თანხა მომხმარებელმა ეროვნულ ბანკში უპროცენტოდ უნდა დააბრუნოს?**

— სწორი ბრძანდებით, თუ არ ჩავთვლით მომსახურების იმ ღირებულებას, რომელიც მომხმარებელმა უნდა გადაუხადოს „საქართველოს საინვესტიციო ცენტრს“ ეროვნულ ბანკში თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული საქმიანობის და მომხმარებლისათვის გრანტის ათვისების პერიოდში გაწეული სხვა მომსახურეობისათვის (მონიტორინგი, კონსულტაციები, ურთიერთობების მოგვარება აგენტთან და პროდუქციის მწარმოებელთან). აღნიშნული მომსახურეობის ღირებულება შეესაბამება ეროვნულ ბანკში დასაბრუნებელი თანხის 0,5 პროცენტს კვარტალში.

**— რა ბედი ეწევა ეროვნულ ბანკში აკუმულირებულ თანხებს?**

— საქართველოს მთავრობას, იაპონიის მთავრობასთან შეთანხმებით, ეს თანხები შეუძლია გამოიყენოს თავისი მოსაზრებისამებრ, მათ შორის, საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლადაც.

ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ გრანტის ათვისების მექანიზმმ, კონკურსის ჩატარების სქემა საშუალებას იძლევა შერჩეული იქნას გრანტით შეძენილი პროდუქციის ისეთი მომხმარებლები, რომლებიც მას ეფექტიანად გამოიყენებენ და გვექნება შესაბამისი თანხის ეროვნულ ბანკში დაბრუნების მაქსიმალური გარანტიები. ეს კი იაპონიის მთავრობის მხრიდან ახალი გრანტის მიღების შესაძლებლობას შექმნის.

ესაუბრა
**რუსლან რუსია.**



პარლამენტი

## პარლამენტის დადგენილებები შესრულებას ექვემდებარება

როგორც ცნობილია, 23 ოქტომბერს კიშინიოვში მუშაობას შეუდგება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა სამიტი, რომელზეც განხილული იქნება „აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის განვითარების შესახებ“ დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების მესრულების მიმდინარეობისა და კონფლიქტის მოწესრიგების მდგომარეობის საკითხები.

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებით კომისიას არაერთხელ დაუფიქსირებია საკუთარი პოზიცია იმის თაობაზე, რომ არსებული მანდატის ჩარჩოებში სამშვიდობო ძალებმა ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობანი. ფაქტობრივად ასრულებენ რა სასაზღვრო ჯარის ფუნქციას, ისინი ვერ უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების პირობების შექმნას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. სამშვიდობო ძალებს ამოფარებული სეპარატისტული რეჟიმი კი სამშვიდობო მოლაპარაკებებისას არ მიდის არანაირ დათმობაზე და ყოველნაირად აფერხებს ლტოლვილთა ეტაპობრივი დაბრუნების პროცესის დაწყებას.

სწორედ აღნიშნულის გამო, სეპარატისტულმა რეჟიმმა ჩამალა მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილება სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლისა და მთელს გალის რაიონში (ძველი საზღვრები) გაფართოების შესახებ.

სრულად გათვითცნობიერებული აქვს რა კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებული პრობლემები, კომისია იმავდროულად გამოთქვამს შეშფოთებას აფხაზეთის საკითხებზე პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობისათვის.

აღნიშნულის გამო კომისიას საჭიროდ მიაჩნია კატეგორიულად განაცხადოს, რომ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 30 მაისის დადგენილება „აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ღსთ ეგიდით მყოფი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემდგომი ყოფნის თაობაზე“, ისევე, როგორც „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ“ გასული წლის 17 აპრილის დადგენილების ზოგიერთი ძირითადი მუხლი შეუსრულებელი დარჩა.

გამომდინარე აქედან, კომისია საქართველოს დელეგაციისაგან მოელის სამიტზე კონფლიქტის ზონაში ღსთ კოლექტიური მშვიდობისმყოფელი ძალების საქმიანობის პრინციპულ შეფასებას და თვლის, რომ შექმნილ ვითარებაში საქართველოს პარლამენტის აღნიშნული დადგენილებები ყველა პოლიტიკური ასპექტის გათვალისწინებით ექვემდებარება შესრულებას.

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი კომისია.

ქ. თბილისი, 21 ოქტომბერი.

ორბიტა

## ამირან გულში მღეროდა...

ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფმა აშშ ელჩმა ჩრდილოატლანტიკურ კავშირში რობერტ ჰანტერმა საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიაკუთვნა, რომლებიც ნატოსთან აქტიურად თანამშრომლობენ. მაგრამ, ეს როგორც ცნობილია, ამ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გასაწევრიანებლად საკმარისი არ არის. ჰანტერის თქმით, რომელიმე ქვეყნის ალიანსში მიღების საკითხის რეალურად განხილვისათვის შესაბამისი სახელმწიფოს მხრივ ამის თაობაზე ჯერ სურვილის გამოთქმაა საჭირო, რაც საქართველოს არ გაუკეთებია. იმ თორმეტი ევროპული ქვეყნიდან, რომლებმაც ნატოში შესვლის სურვილი ოფიციალურად უკვე გამოხატეს, მხოლოდ სამ სახელმწიფოს გაუღიმა ბედმა და სულ მალე ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრები გახდებიან. დანარჩენი ცხრა ქვეყნის მიღების საკითხის განხილვა ნატოს გაფართოების მეორე ეტაპისთვის არის გათვალისწინებული.

თბილისში სტუმრად ყოფნისას რობერტ ჰანტერმა განაცხადა, რომ ნატოს კარები ყოველთვის ღია იქნება იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც საამისო სურვილი, შესაძლებლობა და შესაბამისი პასუხისმგებლობა აქვთ.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ელჩმა საქართველოს შესაძლებლობები და პასუხისმგებლობის გრძნობის ხარისხი არცთუ ურიგოდ დაახასიათა, თან „ამირან გულში მღეროდა“-ს ამერიკული შესატყვისი მოიყვანა.

**ბექა ჭედია.**

## ნატოსკენ მარტო საქართველო როდი იყურება...

ევროპაში სწრაფი ინტეგრაციის მოსურნე საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პარლამენტის საქმიან კონტაქტებს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: ევროსაბჭო, ევროკავშირი, გაერო და სხვა.

ამიტომაც, ამ სტრუქტურებში საპარლამენტო დელეგაციების საქმიანი ვიზიტები ბუნებრივი და თავისთავადი მოვლენაა.

ახლახან რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართული ჩრდილო ატლანტიკური ასამბლეის 43-ე სესიიდან დაბრუნდა საქართველოს პარლამენტის წევრი არმაზ ახვლედიანი, რომელიც შეკრებაზე დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდა.

ჩრდილო ატლანტიკური ასამბლეა აერთიანებს ნატოს ნამდვილი და ასოცირებული წევრი ქვეყნების პარლამენტარებს, ორგანიზაცია აქცენტს, ბუნებრივია, ნატოს ევროპაში გაფართოება-გაძლიერებაზე აკეთებს.

არმაზ ახვლედიანის აზრით, ასამბლეაში გაწევრიანება ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას მიმართვა ასამბლეისადმი საქართველოს ასოცირებულ წევრად მიღების თაობაზე, ჯერ კიდევ 7 თებერვალს გაიგზავნა, მაგრამ, როგორც გაირკვა, აუცილებელი იყო საკითხის უშუალოდ სესიაზე დასმა, ეს კი სწორედ ამ სესიაზე განხორციელდა. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ჯანსაღი დემოკრატიული პროცესების გამო საქართველოს ასოცირებულ წევრად მიღების მომხრედ მრავალი ქვეყანა გამოვიდა. დადებითი რეკომენდაციები მოგვცეს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, მოლდოვის, პოლონეთის, უკრაინის, კანადის, ფინეთის, ბულგარეთის, რუმინეთის და ბალტიისპირეთის სამივე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. ასე რომ, მომავალი ასამბლეის დღის წესრიგში საქართველოს ასოცირებულ წევრად მიღების საკითხიც დადგება. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, როგორც ჩანს ნატოში გაწევრიანების სურვილი რუსეთსაც გაჩენია, რუს დეპუტატთა დელეგაცია ასოცირებული წევრის სტატუსით აქტიურად მონაწილეობდა სესიის მუშაობაში...

საერთოდ კი, ნატო-რუსეთის თანამშრომლობა ცალკე საკითხად იყო გამოყოფილი სესიაზე, ისევე, როგორც ნატოს გაფართოების პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით შეფასება და საერთოდ ამ ორგანიზაციის როლი XXI საუკუნეში.

სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს, დამკვირვებლის სახითაც კი ასამბლეის სხდომაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამის გამო ასამბლეამ შესაძლოა არ წამოაყენოს მოთხოვნა, რასაც უკვე ტრადიციისამებრ მსგავსი დონის საერთაშორისო ორგანიზაციები გვიყენებენ, კავკასიის სამივე სახელმწიფოს ერთდროული გაწევრიანების თაობაზე. ენახოთ, საინტერესო მოვლენების იმედით უნდა ვიყოთ.

**ლელა მჭედლიძე.**

მიწის რეფორმა

## შეხვედრა სასიამოვნო ინფორმაციით დამთავრდა

### ევროკომისიის სასურსათო პროგრამა მოქმედებს

**მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა და კონტრაქტების მომზადების სამმართველოში დეპარტამენტის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სააგენტოების წარმომადგენელთა ტრადიციული საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. საუბრის თემა იყო მსოფლიო ბანკის პროექტის პოლიტიკური, ფინანსური და ტექნოლოგიური ასპექტები. სპიკერმა — ბატონმა დავით ეგიაშვილმა მსოფლიო ბანკის კონსულტანტს მიწის მართვის საკითხებში ბატონ ლინ ჰოლსტეინს სთხოვა თავისი ორკვირიანი ვიზიტის შესახებ ესაუბრა და გაწეული მუშაობა პოლიტიკური, ფინანსური და ტექნიკური ასპექტებით შეეფასებინა.**

— მსოფლიო ბანკის მთავარი მიზანია — თქვა, ლინმა, — იურიდიული სარეგისტრაციო მოწმობების — სერთიფიკატების გაცემა, რომელიც, თავისთავად, მიწის მეპატრონისათვის მიწის საკუთრებაში გადაცემის დაკანონებას გულისხმობს. ჩვენ კარგად გვესმის გარანტირებული უფლების სარგებლიანობა. რუკების შედგენის, აგეგმვითი და სხვა სამუშაოების შესრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატები, რომელთა პირებიც შეინახება ადგილობრივ ოფისებში. ამ საკითხებთან დაკავშირებით თქვენს ორგანიზაციასთან აქტიურად თანამშრომლობენ USAID, TACIS და, რაღა თქმა უნდა, მსოფლიო ბანკი. ვვარაუდობთ, რომ 12-15 წელიწადში ყოველ მოქალაქეს ექნება მიწის მფლობელობის დამადასტურებელი საბუთი.

მსოფლიო ბანკის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პრივატიზაციის პროექტის მიწის რეგისტრაციის განყოფილების უფროსმა ბატონმა ივერი მელაშვილმა დაწვრილებით ისაუბრა მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. აღნიშნა, რომ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის დახმარებით მოხდება გეოდეზიური წერტილების გახშირება და დიგიტალური (საბაზისო) რუკების შედგენა. მიღებული რუკები ბიდინგის მეშვეობით დაურიგდება აზომვით ჯგუფებს, რასაც ცვლილებების, უფლებებისა და საზღვრების დადგენა მოჰყვება. ამ განახლებული ინფორმაციის მეშვეობით ჩასწორდება დიგიტალური რუკები და მიიღება კადასტრული რუკა. აზომვითი ჯგუფები დააზუსტებენ რეგისტრაციისათვის საჭირო მიწის მფლობელთა სიებს და სხვა უფლებათა საზღვრებს. იქ, სადაც არ იქნება მიწასთან დაკავშირებული არანაირი პრობლემა, — არ იარსებებს სადავო საკითხები, — დამზადდება მიწის სერთიფიკატი. აზომვითი სამუშაოების დაწყებას წინ უსწრებს საინფორმაციო საშუალებებით მოსახლეობის ინფორმირება, რადგან მიწის მფლობელთა მონაწილეობა ჩასატარებელ სამუშაოებში სასურველი და აუცილებელიც კია. საკადასტრო სამუშაოებში საკადასტრო სამუშაოების ჩატარებას და სარეგისტრაციო სისტემის დანერგვას. მასში მოცემული კომპონენტების ლეგალური განხილვის შემდეგ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში შესრულება. ამასთან დაკავშირებით, მსოფლიო ბანკის სოფლის მეურნეობის განვითარების მენეჯერს, ბატონ იან შუკერს და ლინ ჰოლსთეინს ეთხოვათ, ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით მოეხდინათ სამუშაო გეგმის გადახალისება. იურიდიულ ორგანიზაციებთან და დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან ერთკვირიანი ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ლინ ჰოლსთეინმა წარმოადგინა გეგმის ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 3 წლის განმავლობაში საკადასტრო სამუშაოებისა და რეგისტრაციის სისტემის დანერგვას აღნიშნული რაიონების მაგალითზე. როგორც კი ჩვენი მხარე მიიღებს მის მიერ წარმოდგენილი გეგმის პროექტს, იმ წუთიდან შეიძლება ტენდერის გამოცხადება.

იანმა და ლინმა ასევე, შეიმუშავეს მიწის რეგისტრაციის დანერგვის პროგრამა მთელი საქართველოს მასშტაბით. პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების ჩართვას მსოფლიო ბანკთან ერთად, რათა პერმანენტულად წარიმართოს სამუშაოები საქართველოს სხვა რაიონებში.

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, მთავარმა რეგისტრატორმა, ბატონმა ქიმერად კვიციანმა საკითხი ამგვარად დააყენა და კითხვაც შესაბამისად დასვა: ორი რაიონის (მცხეთა, გარდაბანი) გარდა არ ჩანს მსოფლიო ბანკის კრედიტის გამოყენება საქართველოს სხვა რაიონების მხარდასაჭერად. გამოყოფილი თანხის (6 მილიონი დოლარი) ნაწილი შეგვიძლია თუ არა გამოვიყენოთ სხვა რაიონებისთვისაც?!

დასმულ შეკითხვას ლინ ჰოლსთეინმა უპასუხა: პროექტში ეს პუნქტი მეტად მოქნილადაა ჩამოყალიბებული. თანხის 15 პროცენტი გაუთვალისწინებელ ხარჯებშია გათვლილი და რადგან 5 წელი 3 წლამდე შემცირდა, გამოყოფილი 6 მილიონი დოლარის საჭიროებისამებრ გადანაწილება პრობლემას აღარ წარმოადგენს.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის დირექტორის, ბატონი ივანე მერაბიშვილის აზრით, მიწის რეფორმასთან დაკავშირებით მოსახლეობის მხრივ არანაირი მხარდაჭერა არ იგრძნობა. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი საკუთარი ინიციატივით ახალისებს პროექტს. მისი აზრით აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება და ორიენტირება, რაც ხელს შეუწყობს საქმის დაჩქარებას.

„აუცილებელია კარგად გარკვევა იმ საკითხებში, რაზეც პროექტშია საუბარი“. — შენიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა, ქალბატონმა საბინე ბერნაბემ, — „სურვილი გვაქვს პროექტში ნაწილობრივი მონაწილეობისა და ვეძებთ საუკეთესო გზებს მასში ჩასართველად. ვფიქრობთ, ვიმუშავებთ ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე“.

„ბრიუსელიდან სიტყვიერი თანხმობა მოვიდა 1998 წლის ბიუჯეტში არსებული დაახლოებით შვიდი მილიონი ლარის გამაგრების შესახებ (ხელფასებისა და ხელფასების დანამატს გარდა)“, — გვაცნობა ევროკომისიის სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის წარმომადგენელმა ბატონმა დავით ბასიაშვილმა.

ამ სასიამოვნო ინფორმაციით დამთავრდა საკოორდინაციო შეხვედრა, რომლის მოკლე ხანში კვლავ გამართვის სურვილი გამოთქვა მისმა ყოველმა მონაწილემ.

**ია აბუაშვილი,**
**ეკა ჩოჩუა.**

## გადაეცა იტალიის პარლამენტს

იტალიის მინისტრთა საბჭომ პარლამენტს გადასცა საქართველოსთან და ესტონეთთან ინვესტიციების ურთიერთმხარდაჭერისა და დაცვის შესახებ შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონთა პროექტები. ამ დოკუმენტებს ხელი მოაწერა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლამბერტო დინიმ გასულ გაზაფხულზე, როცა რომში ვიზიტად იმყოფებოდნენ ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლობითი დელეგაციები.

შეთანხმებანი ითვალისწინებენ ორმხრივ ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის სტატუსის ურთიერთმინიჭებას, ამარტივებენ საწარმოო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების გატანის წესს, უზრუნველყოფენ უცხოური ინვესტიციების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება ნაციონალიზაცია ანდა შეიცვლება ეროვნული კანონები.

## შეიქმნა ქალთა საბჭო

გაიმართა ცხინვალის რაიონის ქალთა კრება, რომელმაც შექმნა საბჭო.

თავმჯდომარედ აირჩიეს ვალენტინა ტოლკაჩოვა, მდივნად — მადინა გიგოლევა, წევრებად — ცხინვალის რაიონის მედიცინის, კულტურის, განათლების მუშაკები.

ქალთა საბჭომ სამუშაო გეგმაში შეიტანა მარტოხელა, ხელმოკლე პენსიონერების, მრავალშვილიანი ოჯახების, მოზარდების, ობლებისადმი დახმარება. საბჭო განახორციელებს კულტურულ-მასობრივ და სხვა ღონისძიებებს.

## არა მხოლოდ „შოთაობა“ იყალთოში...

19 ოქტომბერს, იყალთოში ოცდამეთოთხმეტედ გაიმართა სახალხო დღესასწაული „შოთაობა“, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო, როგორც ახლომახლო რაიონებიდან, ასევე თბილისიდანაც.

განსაკუთრებული იყო წლევანდელი დღესასწაული — იგი დაემთხვა სახელოვანი იყალთოელის — მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის 120 წლისთავს. ბევრი ითქვა კოტე მაყაშვილის ღვაწლზე თავისი ქვეყნის წინაშე.

დღესასწაულის დასასრულს თელავის რაიონის გამგებელმა, ქალბატონმა მედეა მეზვრიშვილმა საპატიო იყალთოელების დიპლომები გადასცა მსახიობ ზინაიდა კვერენჩხილაძეს, მწერლებს — ლევან სანიკიძესა და რევაზ მიშველაძეს.

## უკანონო გარიგება ბათილად გამოცხადდება

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ განაცხადა, რომ ბოლო დროს სოხუმის ხელისუფლება“ ცდილობს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქონების პრივატიზებაში ჩართოს რუსეთის ფინანსური წრეები და ზოგადად რუსული კაპიტალი. საქართველოს ხელისუფლებას ეს დაუშვებლად მიაჩნია და მოუწოდებს რუს ბიზნესმენებს საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად არ დააბანდონ თავიანთი კაპიტალი აფხაზეთში, ვინაიდან ყოველი ასეთი გარიგება უკანონო იქნება და ბათილად გამოცხადდება მას შემდეგ, რაც აფხაზეთში აღდგება საქართველოს იურისდიქცია.

ავთანდილ სილაგაძის განცხადებითვე, საქართველოს ხელისუფლება არ არის წინააღმდეგი აფხაზეთში პრივატიზების დაწყებისა, მაგრამ მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

## რეფორმა

# მაღალმა საგეგმო მაჩვენებლებმა მაღალი ფაქტობრივი შედეგები გამოიღო



**მიხეილ ჭკუასელი,**
*ფინანსთა მინისტრი*

...დამამძიმებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში მიმდინარე პროცესები, რაც მემცენარეობის, განსაკუთრებით მარცვლეულის, ...ლისა და ბოსტნეულის მოსავლის ზრდისა და მოსავლიანობის ამაღლების მიმართულებით შეიმჩნევა.

მნიშვნელოვანია ზრდა სატრანსპორტო მომსახურების სფეროში. 1997 წლის იანვარ-სექტემბერში ყველა სახის საერთო სარგებლობის ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27,8 პროცენტით, ხოლო გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა კი (საქალაქო ელექტრო- ტრანსპორტის გარეშე) 2,1 პროცენტით გაიზარდა.

კვლავ მაღალი ტემპებით იზრდება ვაჭრობა და ფასიანი მომსახურება. საცალო სასაქონლო ბრუნვისა და ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობა მიმდინარე წლის 9 თვეში 1996 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა 29 პროცენტით.

1997 წლის საანგარიშო პერიოდში ქვეყნის განვითარების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები იძლევიან იმის სრულ დადასტურებას, რომ იზრდება ხელშემწყობი პირობები სახელმწიფო ფინანსების შემდგომი გაძლიერებისათვის. ამ მიზნით კი სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის გაუმჯობესებას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.

სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის გაზრდის პირველეს ხელშემწყობ პირობად ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებთან ერთად მიმდინარე და შემდგომ წლებში უნდა ვიგულისხმოთ ის მნიშვნელოვანი გარდაქმნები საგადასახადო პოლიტიკაში, რაც წელს უკვე განხორციელდა ახალი საგადასახადო კოდექსის ნაწილობრივი ამოქმედებით.

საგადასახადო კოდექსთან ერთად მოსალოდნელია, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნება ახალი საბაჟო კოდექსი და კოდექსიდან გამომდინარე კანონები საბაჟო ტარიფებისა და საბაჟო მოსაკრებლების შესახებ, რომლითაც მთლიანად დამთავრდება საგადასახადო პოლიტიკაში მიმდინარე გარდაქმნებისათვის ძირითადი და აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

მაკროეკონომიკური გარემო, აქ არსებული სტაბილიზაციის პროცესები, საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა და ამის ნიადაგზე საგადასახადო ბაზის გაფართოების გზით შემოსავლების ზრდა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საგადასახადო-საბიუჯეტო პროგრამების რეალიზაციის საქმეში, თუმცა ამასთან უნდა აღინიშნოს იმ სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ცვლილებებზე, რაც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა, როგორც საგადასახადო, ისე საბაჟო სამსახურში საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის ...იანვრის № 71 ბრძანებულებიდან გამომდინარე დადგენილებების შესრულების მიზნით და, რამაც ასევე გააუმჯობესა სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციაში არსებული მდგომარეობა.

როგორც სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის მიმდინარე წლის დინამიკიდან ჩანს, სახელმწიფო შემოსავლები წლის ბოლოს 702-... მლნ ლარს მიაღწევს. ამავე პერიოდისათვის პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ შემოსავლების ეს მოცულობა 10 პროცენტს გადააჭარბებს, რაც 1,7 პროცენტული პუნქტით მეტი იქნება 1996 წლის და 4,7 პროცენტული პუნქტით 1995 წლის შესაბამის მაჩვენებლებზე. ...ლის ასეთი ტემპები ძირითადად საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მნიშვნელოვანი გადიდებითაა გამოწვეული, რაზეც მიუთითებს ის, რომ 1996 წელთან შედარებით ზრდის ტემპის ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად 2 და 4,2 საპროცენტო პუნქტს შეადგენს.

კარგ მაჩვენებლებს უნდა ველოდოთ საბაჟოდან შემოსავლების სახითაც. სავარაუდოა, რომ საბაჟო დეპარტამენტის მიერ წლის ბოლოსათვის მობილიზებული იქნება დაახლოებით 190-195 მლნ ლარი, გეგმით გათვალისწინებული 174 მლნ ლარის ნაცვლად. ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს, რომ ინსტიტუციონალური მშენებლობის კუთხის საგადასახადო და საბაჟო სამსახურები სწორ ნაბიჯებს დგამენ. დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სამსახურების ფორმირების, ჩამოყალიბების და გაძლიერების პირველი ეტაპი წარმატებით იქნა გადაწყვეტილი. ძნელია არ გაითვალისწინო რა იყო სამი წლის წინ, რა ამოცანები იდგა და როგორ შეიცვალა სიტუაცია დღეს. ძნელია მოძებნო ქვეყანა, რომელმაც ანალოგიურ წინსვლას მიაღწია ასე მოკლე დროში. და აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამსახურის ხელმძღვანელობის როლი და ფუნქცია, მათი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება შემოსავლების მობილიზაციის გაუმჯობესების მზარდ ტემპებს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი ბევრად მაღალი იქნებოდა თუ არა ის ჩამორჩენა სახელმწიფო შემოსავლების საგეგმო დავალებათა შესრულებაში, რაც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა.

საქართველოს ბიუჯეტების შემოსავლების მიმდინარე წლის ცხრა თვის საგეგმო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობიდან ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში საკუთარი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების სახით მიღებულია 484,7 მლნ ლარი, რაც საგეგმო მაჩვენებლის 544,5 მლნ ლარის 89 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს ბიუჯეტის სტრუქტურაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საგეგმო დავალება (მისაღები გრანტების ჩათვლით) 454 მლნ ლარი შესრულდა 86,7 პროცენტით და მიღებული იქნა 393,6 მლნ ლარი. გარღვევამ საგეგმო დავალებათა შესრულებაში ცხრა თვის შედეგების მიხედვით მიაღწია 60 მლნ ლარს, საიდანაც 11 მლნ ლარი მოდის გრანტებიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზის შეუსრულებლობაზე.

ტერიტორიული ბიუჯეტების მიხედვით აღებული გეგმური დავალებები, რომელიც 118 მლნ ლარს შეადგენდა, შესრულდა 91 პროცენტით და შეადგინა 107,3 მლნ ლარი. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების მიხედვით გარღვევამ გეგმური დავალებების შესრულებაში შეადგინა 10,7 მლნ ლარი.

მიმდინარე წლის ცხრა თვეში შექმნილ მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალურ მოცულობასთან მიმართებაში სახელმწიფო შემოსავლების (გრანტების გარეშე) მობილიზაცია ჯერჯერობით წინ უსწრებს ამავე თანაფარდობის წლიურ მოსალოდნელ პროგნოზს და 11,3 პროცენტს შეადგენს.

გადასახადების სახით საანგარიშებო პერიოდში მობილიზებული სახსრების თანაფარდობა ამავე პერიოდში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტთან 7,9 პროცენტის დონეზეა და ამ მხრივაც ადგილი აქვს მოსალოდნელი წლიური პროგნოზის მაჩვენებლის დაცვას.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ბიუჯეტებით დამტკიცებული საგეგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობას 1997 წლის პირველი ნახევრისა და მესამე კვარტალის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ მესამე კვარტალში შეინიშნება საგეგმო დავალებათა შესრულების დონის ამაღლება და ამასთან ერთად მობილიზებული სახსრების მნიშვნელოვანი ზრდაც.

კერძოდ, თუ პირველ კვარტალში დაგეგმილი საკუთარი საგადასასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების მოცულობები შესრულებული იქნა მხოლოდ 88 პროცენტით და მობილიზებულ იქნა — 122 მლნ ლარი, ხოლო მეორე კვარტალში შესაბამისად — 87 პროცენტით და 167 მლნ ლარი, მესამე კვარტალში შესრულების პროცენტმა 92-ს, ხოლო ამოღებული სახსრების მოცულობამ კი 196 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც შესაბამისად 29 და 75 მლნ ლარით მეტია მეორე და პირველ კვარტალებში მობილიზებულ სახსრებზე. მესამე კვარტალში გადასახადების სახით მიღებულმა შემოსავლებმა საქართველოს ბიუჯეტებში თითქმის 135 მლნ ლარი შეადგინა, რაც მხოლოდ 23 და შესაბამისად 44 მლნ ლარით არის მეტი მეორე და პირველ კვარტალებში მობილიზებულ სახსრებზე.

შედარებით დაბალია მობილიზაციის ზრდის ტემპი საგადასახადო შემოსავლების საგეგმო დავალებათა შესრულების მიხედვით. მესამე კვარტალში საგადასახადო შემოსავლების მიხედვით გეგმის შესრულებამ 85 პროცენტი შეადგინა, რაც წლის პირველ ნახევარში მიღწეულ მაჩვენებელს, 84,6 პროცენტს, მხოლოდ 0,4 საპროცენტო პუნქტით აღემატება.

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში დამატებული ღირებულების გადასახადი დომინირებს და მთლიანი საგადასახდო შემოსავლების 41 პროცენტზე მეტს შეადგენს. სწორედ ამ გადასახადის გეგმური მაჩვენებლის შესრულებაში არსებულმა გარღვევამ — 50 მლნ ლარმა მოახდინა ძირითადი გავლენა მიმდინარე წლის ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების და აქედან გამომდინარე, მთლიანად სამემოსავლო ნაწილის შესრულებაში არსებულ ჩამორჩენაზე.

აქციზის მიხედვით საერთო ჯამში გეგმური დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული, საგეგმო დავალების შესრულება უზრუნველყოფილი იქნა იმპორტირებული აქციზური პროდუქციის დაბეგვრიდან, რაც შეეხება ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული აქციზური პროდუქციის დაბეგვრიდან მისაღებ შემოსავლებს, საგეგმო დავალება 72,3 პროცენტით არის შესრულებული.

გეგმების მნიშვნელოვან შეუსრულებლობას აქვს ადგილი სამემოსავლო და მოგების გადასახადის მიხედვითაც. კერძოდ, ამ სახეებიდან საანგარიშო პერიოდში საერთო ჯამში ვერ იქნა მიღებული 27 მლნ ლარზე მეტი. შედარებით კარგი შედეგებია მიღებული ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში მთლიანად ჩასარიცხი გადასახადების მიხედვით, სადაც გეგმის შესრულებამ 107 პროცენტს გადააჭარბა. თუმცა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ერთ-ერთი მთავარი საგადასახადო წყაროს მიწის გადასახადის მიხედვით ადგილი აქვს ჩამორჩენას.

კვლავ დაძაბულია საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფინანსური მდგომარეობა. უმრავლესობას არ შესწევს უნარი მოახდინოს ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებთან. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ბიუჯეტის წინაშე დავალიანებამ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 110 მლნ ლარს გადააჭარბა.

ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურებიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის დაბალი დონის ფონზე შედარებით უკეთესი შედეგებია მიღებული იმპორტირებული საქონლის დაბეგვრიდან.

საგადასახადო შემოსავლების გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად კვლავაც რჩება „ჩრდილოვანი ეკონომიკა“, შემოსავლების დამალვა, აღრიცხვის დაბალი დონე. მარტო მიმდინარე წელს ქვეყანაში გამოვლენილია და აღრიცხვაზეა აყვანილი 14,6 ათასი ურჩი (არარეგისტრირებული) გადამხდელი. წლის ბოლომდე მათი რიცხვი სავარაუდოდ 30,0 ათასს მიაღწევს. მარტო დამალულმა და გამოვლენილმა შემოსავლებმა და აღურიცხავმა პროდუქციამ (ბრუნვამ) 27,2 მლნ ლარი შეადგინა. როგორც ირკვევა, შემოწმებულ მეწარმეთა დაახლოებით 90 პროცენტი არღვევს საგადასახადო კანონმდებლობას.

მოუწესრიგებელია ვაჭრობიდან და ფასიანი მომსახურებიდან შემოსავლების აღრიცხვა-ანგარიშგება, რის გამოც დიდია საბიუჯეტო შემოსავლების დანაკარგები. ამ სფეროში მცირე ობიექტების დონეზე დაქუცმაცებული ათასობით ინდივიდუალური (ცალკე) გადამხდელი, ხშირ შემთხვევაში „მწყრალად“ არის „აღრიცხვასთან“ და „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ მთავარ საკვებ ბაზად გვევლინება. არსებული სიტუაცია უკვე უქმნის პრობლემებს ახალ საგადასახადო კოდექსს. კიდევ უფრო აამკარავებს ინტერესთა დაპირისპირებას ორგანიზებულ (მოწესრიგებულ) და არაორგანიზებულ საცალო ვაჭრობას მორის. საჭიროა მათი ერთნაირ საგადასახადო რეჟიმში ჩაყენება, რაც მხოლოდ მოქნილი აღრიცხვის მექანიზმის შემუშავებით იქნება შესაძლებელი.

როდესაც რეზერვებზე ვსაუბრობთ, ყველაზე ძირითადი რეზერვი დღეისათვის სწორედ აღრიცხვის მოწესრიგებაში, ანუ საგადასახადო ბაზის „ჩრდილიდან“ გამოყვანაში უნდა ვეძებოთ, შესაძლოა ვინმემ ახირებად ჩაგვითვალოს, მაგრამ, როდესაც დაძაბულ ბიუჯეტზე ვსაუბრობთ, იძულებული ხდები თითოეული თეთრი ეძებო, ეძებო უკვე ბევრჯერ ნათქვამ თემებში, უფრო ღრმადაც შეხედო. „ჩრდილოვანი ეკონომიკის, „სიღრმისეულ წიაღში სვლა თეთრებს ათასებად, ასიათასებად, მილიონებად აქცევს ხოლმე. ეს ის მილიონებია, რომლებიც ბაზრობების, რესტორნების, კაფეების, კაზინოების, ბენზინგასამართი სადგურების თეთრებით იწყება და ყალიბდება, ნამდვილად არ მინდოდა ამ თემაზე კიდევ ერთხელ გაჩერება, მაგრამ ვფიქრობ სათქმელი კიდევ ერთხელ უნდა ითქვას და არა მარტო ამ ობიექტების შესახებ.

ცხრა თვეში თბილისში რეგისტრირებული 67 ბაზრიდან და ბაზრობებიდან, 66 საფირმო კაფედან, 122 ღია ტიპის საზკვების ობიექტიდან, 199 ბენზინგასამართი სადგურიდან, 24 ლატარიის ტიპის თამაშიდან, 72 რესტორნიდან, 7 კაზინოდან, 84 სუპერმარკეტიდან და საფირმო მაღაზიიდან, ე.ი. სულ 640 ობიექტიდან შემოსულია 4 500 000 ლარი, ე.ი. საშუალოდ 9 თვეში სუპერმარკეტიდან და საფირმო მაღაზიიდან 7 ათასი, რესტორნებიდან 2500, ლატარიიდან 5000, ბენზინგასამართი სადგურიდან 3000, საზკვებიდან 780 ლარი, საფირმო კაფეებიდან 1000 ლარამდე.

1997 წელს საქართველოში იმპორტირებულია 19000 ათასი ტონა თხევადი გაზი, ფასით 168 დოლარი ტონა, ანუ 219 ლარი, საბითუმო ფასი 240-270 ლარი, გადახდილი დღგ 110-125 ათასი ლარი.

საბოლოო სარეალიზაციო ფასი 10 კგ ბალონის 8 ლარი, ე.ი. ტონა 800 ლარი. დაუბეგრავი თანხის მოცულობა ტონაზე 500 ლარამდე, ბიუჯეტში მარტო დღგ-ს კუთხით ვერ იქნა მიღებული 1 800 000 ლარი.

ამას დავუმატოთ ის, რომ თხევადი გაზი, როგორც თურმე არა ნავთობპროდუქტი, არ იბეგრება 12 პროცენტი საბაჟო გადასახადით, რომლის გამო დანაკარგები 2-3 მლნ ლარს აღწევს. არაფერს ვამბობთ იმაზე, რა ხარისხის არის აღნიშნული პროდუქტი და რამდენი კგ გაზი ისხმება 10 კგ-იან ბალონში. ზოგიერთმა მეწარმემ „ჩრდილის“ მოძებნა კანონს ამოფარებულმა მოინდომა.

„უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის საფუძველზე მოქმედმა კომპანიამ 107 ათასიანი საწესდებო კაპიტალით 1996 წლის 22 ნოემბრიდან 1997 წლის 1 ოქტომბრამდე ქვეყანაში ძირითადი კაპიტალის სახით შემოიტანა 5292 ათასი აშშ დოლარის საქონელი (ფქვილი და კვერცხი), რომელიც მის საწესდებო კაპიტალში უნდა ჩართულიყო. სინამდვილეში გაუკეთა რეალიზაცია და ბიუჯეტს 1 836 ათასი ლარი დააკლო.

„გრანტების შესახებ“ კანონის საფუძველზე მოქმედმა საზოგადოებამ კი, რომელსაც ძალიან მაღალ სულიერ მიზნებზე აქვს პრეტენზია, გრანტად კომერციული საქმიანობის საბრუნავ კაპიტალად მიღებული 800 000 დოლარი ფქვილისა და ნავთობპროდუქტების ბიზნესში გამოიყენა და 800 000 ლარის ოდენობით მიღებული შემოსავლიდან ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ გადაირიცხა.

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ნავთობპროდუქტების იმპორტი მიმდინარე წლის 9 თვეში არა თუ არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა კიდეც. ნავთობპროდუქტების ძირითადი მომხმარებელი დარგების მდგომარეობის ზოგადი ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ ნავთობპროდუქტების საერთო მოხმარება არ შეიძლება მიმდინარე წელს ნაკლები, თუნდაც ტოლი იყოს გასულ წელთან შედარებით. ეს იმის ფონზე, როცა ყოველთვიურად იზრდება შემოსავლები ნავთობპროდუქტებიდან და აგვისტოში მან 6,7 მილიონი ლარი შეადგინა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ რასაც აღვრიცხავთ, მისი დაბეგვრა სრულყოფამდე მიგვყავს, მაგრამ თვით აღრიცხვაში თანდათან უკან მივდივართ. ძნელია აქ ვინმე ერთი, თუნდაც მებაჟე დაადანაშაულო. ნავთობპროდუქტებში, ისევე როგორც სხვაგან, ობიექტურ და სუბიექტურ პრობლემათა კომპლექსთან გვაქვს საქმე.

საქართველოს საბაჟო სისტემას საბიუჯეტო შემოსავლების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვები გააჩნია ალკოჰოლიანი სასმელების დაბეგვრის სფეროშიც. ყურძნის, ღვინოების და ღვინომასალების, შამპანურისა და ცქრიალა ღვინოების, ვერმუტისა და ხილის ღვინოების, მაგარი სპირტიანი სასმელების იმპორტის დაბეგვრიდან მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სულ ამოღებულია 506 ათასი ლარი, ხოლო მათი იმპორტის საერთო მოცულობა ოდნავ აღემატება 1,5 მლნ ლარს. ქვეყნის შიდა ბაზრის ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ იგი ზომიერად გაჯერებულია ყველა დასახელებული სახეობის საქონლით. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ადგილი აქვს იმპორტის გაყალბებას, მის ნაცვლად ტრანზიტისა და რეექსპორტის რეჟიმით ტვირთების გაფორმების და საბაჟო წესების სხვა ფაქტებს. აქ აღურიცხაობის მეორე ტენდენცია წამოვიდა. ყველას კარგად მოეხსენება, საქართველოში უკვე დაიწყო მაღალი ხარისხის არყის ჩამოსხმა, რომელმაც სერიოზული კონკურენცია გაუწია იმპორტირებულ არაყს, ეს რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ყველაფერი შემოსავლებსაც ხომ უნდა დაეტყოს. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის განმარტებით კი რეგისტრირებული 60 არყის ჩამოსასხმელი საწარმოდან 9 თვეში ამოღებამ მხოლოდ 70 000 ლარი შეადგინა.

საბიუჯეტო შემოსავლების სტრუქტურაში შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე მოდის 6,8 მლნ ლარი, ხოლო იმპორტმა ამ პერიოდში — 39,6 მლნ ლარს მიაღწია. გასულ წელს შაქრის საშუალო მოხმარებამ 1 მცხოვრებზე გაანგარიშებით 29 კგ შეადგინა, ხოლო 1997 წლისათვის ეს ციფრი, ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩატარებული გაანგარიშების თანახმად, 32 კგ-ს ტოლია. შაქრის მოხმარების 98-99 პროცენტი იმპორტის ხარჯზე იფარება. 1997 წლის იანვარ-აგვისტოში იმპორტირებულია 64 417 ტონა შაქარი, ანუ თვეში საშუალოდ 8 052 ტონა. შესაბამის გაანგარიშებათა ჩატარებით მივიღებთ, რომ 1997 წელს მთლიანად ქვეყანაში მოსალოდნელია 96 000 ტონა შაქრის იმპორტი, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 19,2 კგ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხოვრების საშუალო დონე და შემოსავლების ოდენობა 1997 წელს რამდენადმე აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ შაქრის ფაქტობრივი მოხმარება არ შეიძლება მიმდინარე წელს ნაკლები იყოს გასულ წელთან შედარებით. ეს კი კვლავ იმაზე მიუთითებს, რომ შაქრის შემოტანისას ადგილი აქვს საბაჟო წესების დარღვევის ფაქტებს და ამ საქონლის იმპორტის გარკვეული ნაწილი ქვეყანაში ფარული გზებით, საბაჟო ორგანოების გვერდის ავლით შემოედინება, ხოლო ის, რაც შემოდის, შემოდის ძალიან ძვირად, ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოში 520 ლარიან შაქარზე ბევრად უფრო იაფიანი 403 და 459 ლარამდე ფასით შაქარი შეიძლება შეიძინო. ან რატომ განსხვავდება უკრაინის საბაჟოს მონაცემები გამოტანილი შაქრის ოდენობისა საქართველოს საბაჟოს მონაცემებზე შემოტანილი შაქრის ოდენობასთან შედარებით.

ერთ საკითხზეც მინდა შევჩერდე. დადგენილი წესის თანახმად, დავა საგადასახადო სამსახურს და გადამხდელს შორის არბიტრაჟის, სასამართლოს პრეროგატივაა. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ „ჩრდილი“ აქაც გამოწვდა და თავის მაგიურ ძალმოსილებით, მაგრამ ხანდახან კურიოზამდე მივდივართ.

კიდევ მაგალითი.

1997 წლის 1 იანვრისათვის ფირმას დავალიანება ერიცხებოდა 53,6 ათასი ლარის ოდენობით. საგადასახადო ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად ბანკს საინკასო დავალება წარედგინა 5 და 36 ათას ლარზე.

დავის გადაწყვეტა იმით დამთავრდა, რომ გადამხდელმა მოიგო სარჩელი თანხის 843,9 ათასი ლარის ოდენობით, მიუღებელი მოგების ასანაზღაურებლად, იმიტომ, რომ შემოწმების დღიდან ინკასოს წარდგენამდე 10 დღე არ იყო გასული.

არაფერს ვამბობ გაკოტრების გაჭიანურებულ საქმეებზე თანხით 10 მლნ ლარი.

მთელი ჩემი გამოსვლა თვითკრიტიკულია, ამიტომ აქ უნდა ვთქვა, რომ 20 ლარიანი ინსპექტორი და მებაჟე ასეთ ფაქტებს რომ ნახავს, ნებისმიერ ტვირთს გამოარიცხვინებს და ხელს ჩაიქნევს. ეს არის „ჩრდილის“ , „კორუფციის“, ქართული ანატომიის მაგალითები.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სპეციალური სახელმწიფო ფონდების მიხედვით (სოციალური უზრუნველყოფის, საგზაო და დასაქმების სახელმწიფო ფონდები) ცხრა თვის საგეგმო დავალებები, რომელიც 92,5 მლნ ლარის დონეზე იყო განსაზღვრული, შესრულებულია 96,6 პროცენტით და სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 89,4 მლნ ლარი. საგეგმო დავალების შესრულება ვერ იქნა უზრუნველყოფილი სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდის ხაზით, რის გამო ბიუჯეტს დააკლდა 7,1 მლნ ლარი და გეგმის შესრულებამ ამ ფონდის მიხედვით მხოლოდ 90,7 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება დასაქმებისა და საგზაო ფონდებს, ამ ფონდების მიხედვით საგეგმო დავალებები წარმატებით არის შესრულებული და გეგმის გადაჭარბებამ შესაბამისად 107,0 და 127,0 პროცენტი შეადგინა.

როცა 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ძირითადი პარამეტრების შესრულებაზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებასაც, რომ ამ ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები მართლაც მეტად დაძაბული იყო.

ალბათ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მაღალი საბიუჯეტო შემოსავლების მიღწევის მიზანი ნამდვილად მისასალმებელი და კეთილშობილური იყო. მით უმეტეს, რომ მოთხოვნებიც, როგორც სოციალური, ისე ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის დაჩქარებას ისახავდა.

რაც შეეხება პრაქტიკულ შედეგებს, აქ მთავარია აღინიშნოს, რომ ასეთმა დაძაბულმა ბიუჯეტმა ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიუჯეტის აღსრულების პროცესში. კერძოდ, დაძაბულმა გეგმებმა ხელი შეუწყო ქვეყნის მთელი საფინანსო სისტემის სრული ძალებით მობილიზაციას. სწორედ ამან შექმნა იმის საფუძველი, რომ მიმდინარე წელს გადასახადების ამოღების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მაღალმა საგეგმო მაჩვენებლებმა შედარებით მაღალი ფაქტობრივი შედეგები გამოიღო.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შესრულების პროცესში სრულად გამოვლინდა ის სიძნელეები, რომელიც ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილის შესრულების დაძაბულად მიმდინარეობამ განაპირობა. სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით სამემოსავლო გეგმების შესრულების დინამიკაში შეფერხებების გამო მთავრობა სისტემატურად ახორციელებდა ღონისძიებებს სახელმწიფო ფინანსების რაციონალური მანევრირებით თავიდან აეცილებინა გადაუდებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსებაში სერიოზული ჩავარდნები.

ამ მხრივ აღსანიშნავია სახაზინო სისტემის ჩამოყალიბების ღონისძიებები და საბიუჯეტო სახსრების ფაქტიური ხარჯვის ყოველთვიური კონტროლის მიზნით შესაბამისი ლიმიტების დაწესება, რომელმაც საშუალება მოგვცა ძირითადად დაგვეცვა საბიუჯეტო ხარჯების განაწილებაში სახელმწიფო პრიორიტეტები. ამავე წესმა მოგვცა საშუალება, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო ის დავალიანებები, რომლებიც წლის დასაწყისიდან იქნა დაგროვილი ბიუჯეტის დაცული მუხლების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო ხარჯებმა განვლილ 9 თვეში 556,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც საგეგმო მოცულობაზე — 632,0 მლნ ლარზე, 75,2 მლნ ლარით, ანუ 11,9 პროცენტით ნაკლებია.

ფაქტიურად, მიმდინარე წლის 9 თვეში სოციალური სფეროს დარგებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დანიშნულებით გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 268,2 მლნ ლარი, რაც საანგარიშო პერიოდის გეგმის — 289,0 მლნ ლარის 92,8 პროცენტს შეადგენს, ხოლო მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების ფაქტიური დაფინანსების მაჩვენებელი 97,8 პროცენტს აღწევს.

დაფინანსების საგეგმო მაჩვენებლები სრულად არის შესრულებული საპენსიო ფონდზე გადასაცემი ტრანსფერის ნაწილში. მიმდინარე წლის 9 თვეში ნაცვლად 27 მლნ ლარისა გადარიცხულია 29 მლნ ლარი, ანუ წინმსწრები გრაფიკით ფონდს 2 მლნ-მდე ლარის დამატებითი შევსება მიეცა.

საანგარიშო პერიოდში სრულად არის დაფინანსებული ლტოლვილთა შემწეობები და შენახვის ხარჯებიც, რომლის მოცულობამ 37 მლნ ლარს მიაღწია, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 50 პროცენტით აჭარბებს.

შედარებით შეფერხებებით მიმდინარეობს ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების დახმარების დაფინანსების საკითხი, რაც ძირითადად ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობით აიხსნება. კერძოდ, გაჭიანურდა დახმარების დანიშვნის პერიოდი. ამის შედეგად ცენტრალური ბიუჯეტიდან საანგარიშებო პერიოდში გამოყოფილია 8,7 მლნ ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 9,6 მლნ ლარისა, ანუ 90,6 პროცენტი. გეგმურად იქნა დაფინანსებული ინვალიდთა პროგრამები, რომლის მოცულობამ შეადგინა 6,2 მლნ ლარი. ძალისმიერი სტრუქტურების სოციალური ხარჯების დაფინანსებისათვის გადარიცხულია 8,9 მლნ ლარი, მათ შორის, საპენსიო უზრუნველყოფისათვის 7,8 მლნ ლარი. რაც გეგმით გათვალისწინებული პარამეტრების დონეზეა.

საანგარიშო პერიოდში მწვავე სიძნელეები წარმოიშვა ჯანმრთელობის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების საკითხში. ბოლო ორ თვეში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ჩამორჩენის დასაძლევად მიმართულ იქნა დამატებით დაახლოებით 9 მლნ ლარი.

სერიოზული სიძნელეებია განათლების ღონისძიებების დაფინანსების სფეროშიც. საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული 34,0 მლნ ლარიდან გახსნილია დაფინანსება 26,9 მლნ ლარის ოდენობით, ანუ 79,1 პროცენტის დონეზე. ეს ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ განათლების რეფორმის პროგრამების დაფინანსების წყაროდ განსაზღვრული ევროგაერთიანების გრანტებს დიდი დაგვიანებით ვღებულობთ, რაც იწვევს შეფერხებას ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების დაფინანსებაში.

კულტურისა და სპორტის ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში უნდა გამოყოფილიყო 28,1 მლნ ლარი. ფაქტიურად, კულტურის ღონისძიებებზე გამოიყო 22,8 მლნ ლარი, ანუ 89,0 პროცენტი, ხოლო სპორტის ღონისძიებები სრულად იქნა დაფინანსებული.

მნიშვნელოვანი თანხები იქნა გამოყოფილი ეკონომიკის სექტორალური დაფინანსებისათვის. ამ დანიშნულებით საანგარიშებო პერიოდში მიმართულ იქნა 35 მლნ ლარი, ანუ გეგმის 88,6 პროცენტი. მათ შორის, სოფლის მეურნეობაში — 5,5 მლნ ლარი, სატყეო მეურნეობაში — 6,7 მლნ ლარი, მშენებლობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში — 1,8 მლნ ლარი, მეტროს მშენებლობის დაფინანსებაზე — 1,2 მლნ ლარი, გზების მშენებლობისათვის — 6,0 მლნ ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დაფინანსებისათვის გამოყოფილ იქნა 5,1 მლნ ლარი.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ორჯერ მოწესრიგდა ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება, პენსიონერთა პენსიები, ლტოლვილთა და ხიზანთა შემწეობები, სტუდენტთა სტიპენდიები და სხვა გასაცემლები. ცალკეული კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურება 100-120 პროცენტით გადიდდა. მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე სამამულო ომის ინვალიდების, ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა (ოფიცერთა) პენსიები. ასეთი პენსიის საშუალო დონემ 70-80 ლარს მიაღწია, ადრე დაწესებული 11,5 ლარის ნაცვლად.

საანგარიშებო პერიოდში თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 53,1 მლნ ლარი, ანუ გეგმის 55,4 მლნ ლარის — 96,3 პროცენტი.

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8,0 მლნ ლარისა, გამოყოფილია 6,8 მლნ ლარი, ანუ დაფინანსების მაჩვენებელი შეადგენს 85,0 პროცენტს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საანგარიშო პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შედგინა 45 მლნ ლარი, ანუ გეგმის — 52,0 მლნ ლარის — 87,2 პროცენტი. დაფინანსებაში შეფერხებებს ადგილი აქვს კაპიტალური ხარჯების ნაწილში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად ტარდება ღონისძიებები, რომ სპეციალური დაფინანსების გრაფიკით წლის ბოლომდე მიღწეულ იქნეს დაფინანსებაში ჩამორჩენის მაქსიმალურად დაძლევა.

უშიშროების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 12,9 მლნ ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 13,4 მლნ ლარისა, ანუ 95,9 პროცენტი.

სასამართლო ორგანოების დაფინანსებისათვის საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული იყო 4,8 მლნ ლარი. ფაქტიურად, გახსნილმა დაფინანსებამ შეადგინა 3,9 მლნ ლარი, ანუ 81,2 პროცენტი, მართალია, გეგმიურ დაფინანსებას დააკლდა 0,9 მლნ ლარი, მაგრამ მისი კომპენსაცია ხდება სპეციალური სახსრების ხარჯზე, რომლის მოცულობამ საანგარიშო პერიოდში 0,7 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშებო პერიოდში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ინვესტიციური პროექტების მოცულობამ წინასწარი მონაცემებით შეადგინა 12 მლნ ლარი, ანუ წლიური მოცულობის 65 პროცენტი. მათ შორის, მუნიციპალური მშენებლობის კრედიტმა — 6,2 მლნ ლარი, ტრანსპორტის კრედიტმა — 3,5 მლნ ლარი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებამ — 1,6 მლნ ლარი, ხოლო სოფლის მეურნეობის კრედიტმა — 0,7 მლნ ლარი.

ტერიტორიულ ბიუჯეტებს საანგარიშო პერიოდში მიზნობრივი ტრანსფერებისა და ურთიერთანგარიშსწორების ჩათვლით გადაერიცხათ 34,4 მლნ ლარი, რაც აღემატება ლიმიტით გათვალისწინებულ მოცულობას და 3-ჯერ ჭარბობს გასული წლის შესაბამის პერიოდში გადარიცხულ თანხებს.

როგორც საანგარიშებო პერიოდში საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ხარჯების და ღონისძიებების სტრუქტურა გვიჩვენებს, წლის დარჩენილ პერიოდში, კერძოდ, მე-4 კვარტალში, უნდა განხორციელდეს ფინანსური რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია, გატარდეს არაორდინალური ღონისძიებები, რომ სრულად შევძლოთ ცენტრალური ბიუჯეტით განსაზღვრული სახელმწიფო ვალდებულებების შესრულება დაცული მუხლებისა (ხელფასი, კვება, მედიკამენტები, სოციალური გასაცემლები) და საგარეო ვალდებულებებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

მოხსენება წაკითხულია საქართველოს მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე, ...ოქტომბერს.



მოსკოვში გაიმართა რუსეთის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა საპროტესტო აქცია.
მიტინგის მონაწილენი „თეთრ სახლთან“.

## ჩინეთი: იხურება სახელმწიფო საწარმოები

ჩინელი მუშების საპროტესტო დემონსტრაციების მორიგი ტალღა ამოწმებს მთავრობის განზრახვას, დახუროს ზარალიანი საწარმოები, წერს „დეილი ტელეგრაფი“. გაფიცვები და პოლიციასთან შეტაკებანი მოხდა ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთის სიჩუანის პროვინციაში, სადაც თავმოყრილია ძველი ქარხნები. აქ და ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მუშათა დაახლოებით 20 პროცენტი ვერ იღებს ხელფასს, ამასთან მთავრობა უკრძალავს მათ დამატებითი შემოსავლის ძებნას. ოფიციალურად, უმუშევრობა ჩინეთში 3 პროცენტს შეადგენს, მაგრამ კორესპონდენტის აზრით, უმუშევართა რაოდენობა გაცილებით მეტია და დაახლოებით 10 პროცენტს აღწევს. თუ მოსახლეობის რიცხოვნობას გავითვალისწინებთ, ეს შემზარავი ციფრია. გაზეთის აზრით, ეკონომიკის მოდერნიზების პირობებში, ზარალიანი სახელმწიფო საწარმოები დინოზავრებივით ამოწყდებიან, ხოლო მთავრობა ვალდებულია, მათ დაეხმაროს.

## იარაღს მარტო ჩვენში როდი იპარავენ

აშშ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააპატიმრეს 13 სამხედრო მოსამსახურე, რომლებსაც სამხედრო საწყობებიდან იარაღისა და ტყვია-წამლის დატაცებაში ადანაშაულებენ.

იარაღის დიდი ნაწილი, რომლის უმრავლესობასაც ავტომატური იარაღი, ნაღმები, ნაღმსატყორცნები და ყუმბარები შეადგენენ, გატანილი იქნა ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ კემპ-ლეჯიუნის საზღვაო ქვეითი ჯარის სამხედრო მომარაგების საწყობიდან. დაპატიმრებას წინ უძღოდა 18-თვიანი გამოძიება, რომლის მსვლელობისას ფედერალურმა აგენტებმა, რომლებიც იარაღით მოვაჭრეებად ასაღებდნენ თავს, სამხედროებისაგან მნიშვნელოვანი რაოდენობის იარაღი შეიძინეს.

გამოძიების დასრულების შემდეგ აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა უილიამ კოენმა ამერიკის სამხედრო საწყობების მდგომარეობის შემოწმების განკარგულება გასცა.

## ლონდონი: „ტრაიდენტი“ თუ „პოლარისი“?

დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეისყიდოს ამერიკის შეერთებულ შტატებში „ტრაიდენტ“ წყალქვეშა ნავებისათვის განკუთვნილი შვიდი ბირთვულქობინიანი რაკეტა, იუწყება როიტერი. რაკეტების ღირებულება 162 მილიონ დოლარს შეადგეს. ექსპერტთა აზრით, რაკეტების მესყიდვა მოწმობს, რომ მთავრობა ისწრაფვის შეინარჩუნოს „ტრაიდენტ“ წყალქვეშა ნავები მომავალ საუკუნეში ბრიტანეთის ბირთვული ძალების საფუძვლად. ამ კლასის ბირთვული რაკეტების საერთო რაოდენობა 58 ერთეულს შეადგენს. გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ ხაზს უსვამს, რომ მმართველი პარტიის მარცხენა ფრთამ მკვეთრი უკმაყოფილება გამოთქვა მთავრობის გადაწყვეტილების გამო. აკი, 1987 წელს ლეიბორისტები აწყობდნენ „ტრაიდენტ“ წყალქვეშა ნავების შესყიდვის საწინააღმდეგო კამპანიას და მოითხოვდნენ ბრიტანეთის ბირთვული ძალების მამინდელი საფუძვლის — „პოლარისის“ კლასის წყალქვეშა ნავების მეიარაღებიდან მოხსნას.

## „შავმა ბაზარმა“ ეროვნება არ იცის

ისრაელის პოლიციამ დააპატიმრა იერუსალიმის მკვიდრი ათი ებრაელი, რომლებიც მუსლიმანი ექსტრემისტებისათვის და მათ შორის, ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია „ჰამასისათვის“ ასაფეთქებელი ნივთიერებების მიწოდებაში არიან ეჭვმიტანილნი. ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ბინაში გაჩხრეკისას 200 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება და 55 დეტონატორი აღმოაჩინეს. ისრაელის სპეცსამსახურების მონაცემებით, ისრაელის ისტორიაში ასეთი შემთხვევა პირველია. ამავე დროს, ერთ-ერთმა პალესტინელმა ჟურნალისტმა განაცხადა: ღაზას სექტორში ყველამ იცის, რომ „ჰამასს“ იარაღის დიდ ნაწილს „შავ ბაზარზე“ მომუშავე ებრაელები აწვდიან.


დაახლოებით ორი ტონა ნარკოტიკული ნივთიერებები დააკავეს რუსმა მესაზღვრეებმა წლის დამდეგიდან ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარზე.
ამჯერად, ავღანელ ნარკოშიკრიკს, რომელიც მესაზღვრეთა ჯგუფეულმა შეიპყრო, მოჰქონდა 11 კილოგრამი ნედლი ოპიუმი და 2 კილოგრამი ჰეროინუმი.

## ჯერ შეტევის იმიტაცია, მერე კი შეტევა?

თურქეთის სამხედრო ავიაციის „F-16“ ავიაგამანადგურებლებმა წინა ხუთშაბათს მოახდინეს შეტევის იმიტაცია იმ თვითმფრინავზე, რომლითაც საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი აკის ცოხადოძოპულოსი კვიპროსიდან ათენში ბრუნდებოდა.

თურქეთის ავიაგამანადგურებლები მიუახლოვდნენ მინისტრის თვითმფრინავს და გარკვეულ მანძილზე მასთან ერთად მიფრინავდნენ. თურქები მხოლოდ მას შემდეგ ჩამორჩნენ საბერძნეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელის თვითმფრინავს, როცა პაერში ბერძნული ავიაგამანადგურებლები გამოჩნდნენ. იმავე დღეს თურქეთმა საბერძნეთი კვიპროსის აკვატორიაში სამხედრო თვითმფრინავების ფრენის აკრძალვის მორატორიუმის დარღვევაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ამიერიდან არც თვითონ დაიცავს ამ მორატორიუმს. მიმომხილველები კი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დროს თურქეთსა და კვიპროსს შორის ურთიერთობები იმდენად დაიძაბა, რომ გამორიცხული არ არის, უახლოეს მომავალში დაპირისპირება სამხედრო შეტაკებაში გადაიზარდოს.

## პრობლემა — ბავშვების უცხოეთში გაშვილება

„რუსეთში ბავშვის შვილება უცხოელ მოქალაქეს 10-დან 20 ათას დოლარამდე უჯდება“, — წერს გაზეთი „როსიისკიე ვესტი“. ამდენი ქრთამი უნდა გადაუხადონ კორუმპირებულ მოხელეებს, რათა მიიღონ დოკუმენტები ბავშვის შვილად აყვანის შესახებ. ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსეთის ბავშვთა სახლებიდან ჩაჰყავთ ძირითადად 4 თვიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვები. „უკანასკნელი 4 წლის მანძილზე ორგანიზაცია „აქსეპტმა“, რომელიც უდიდესია, ამგვარი ბიზნესის მიმდევართა შორის, ამერიკელი მშობლები უპოვა 150-ზე მეტ რუს ბავშვს“, — იუწყება გაზეთ „როსიისკიე ვესტის“ ნიუ-იორკელი კორესპონდენტი.

• • •

რუსი ბავშვების შვილად აყვანასთან დაკავშირებით ამტყდარ სკანდალზე წერს „ჩიკაგო ტრიბუნი“. არიზონის შტატის საოჯახო საქმეთა სასამართლოში ისმენენ რიჩარდ და კარენ ტორნების საქმეს ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობის ბრალდებით. სასამართლო ფორმულირების თანახმად, „ცოლ-ქმარის საქციელი და მოქმედება უდავო საფრთხეს უქმნის ბავშვების ჯანმრთელობას“. ასეთი საქციელი გამოვლინდა მფსკოვ-ნიუ-იორკის თვითმფრინავში, როდესაც ცოლ-ქმარ ტორნებს ორი ოთხი წლის გოგონა მიჰყავდათ. ატირებული ბავშვები რომ დაეშვიდებინათ, ტორნებმა ჯერ დაუწყეს ლანძღვა გოგონებს მათთვის გაუგებარ ინგლისურ ენაზე, შემდეგ კი, მისდგნენ და უმოწყალოდ სცემეს. ახლა ბავშვები იმყოფებიან მათი დედობილის ძმის მეურვეობის ქვეშ, ხოლო საბოლოო მოსმენა 7 ნოემბერს არის დანიშნული. ამასობაში, რიჩარდ და კარენ ტორნებმა ფსიქიატრიული ექსპერტიზა უნდა გაიარონ, წერს „ჩიკაგო ტრიბუნი“.


ეკვადორის დედაქალაქ კიტოში ჩავიდა 20 ათასზე მეტი ინდიელი. ყველანი ეროვნულ კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი. ეკვადორის მკვიდრ მცხოვრებთა წარმომადგენლები აქ შეიკრიბნენ არა ფოლკლორულ ფესტივალზე, არამედ თავიანთი უფლებების დაცვის კონსტიტუციური ასამბლეის შექმნის მიზნით.

## დედა პროტესტს უცხადებს შვილებს

ამერიკის ილინოისის შტატის მცხოვრები მიშელ ტრიბუ საკუთარმა შვილებმა აიძულეს ხეზე გასულიყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, წერს „ი-ეს-ეი თუდეი“ კურიოზების რუბრიკაში. სამი შვილის დედა გადავიდა ხის ვარჯში მოწყობილ ფანჩატურში ბავშვების უტიფარი ქცევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. როგორც ტრიბუმ თქვა, მას ძალიან უყვარს თავისი შვილები და მათი გულისთვის წყალში გადავარდება, მაგრამ შვილებიც უნდა მოექცნენ მას ადამიანურად. როდესაც ბავშვებმა დედას ხეზე საჭმელი აუტანეს, მიშელი მოლბა და ქვემოთ ჩამოვიდა, მაგრამ მაინც განაცხადა, რომ „მოლაპარაკებანი ჯერ კიდევ გრძელდება“. ოჯახის მამას მიაჩნია, რომ პრობლემები მაშინ დამთავრდება, როდესაც ყმაწვილები წამოიზრდებიან, ჯერჯერობით კი იგი აიძულებს ბავშვებს შეასრულონ მთელი საოჯახო სამუშაო.

## იყიდება ძველი დიდების ნაშთები

სიანგანის ადმინისტრაციული ოლქის მთავრობამ აუქციონზე გამოიტანა წინა ადმინისტრაციისაგან დარჩენილი ბრიტანულგერბიანი საგნები, წერს „დეილი ტელეგრაფი“. ათიათასამდე საგანი, რომლებიც განსაკუთრებულ კულტურულ და მატერიალურ ღირებულებას არ წარმოადგენენ, შეიძლება საინტერესო გამოდგეს კოლექციონერებისათვის. მათ შორის არის ნაირნაირი ემბლემები, საცერემონიო ხმლები და ჩაის სერვიზები გუბერნატორის გამოსახულებით. „მათი ღირებულებაა ეპოქა, რომელსაც ისინი სიმბოლურად გამოხატავენ“, — მიაჩნია ნაიჯელ მიჰმენს, რომელიც პასუხს აგებს სახელმწიფო სამსახურების მომარაგებისათვის. გარდა ამისა, აღნიშნული ნივთები კარგად არის შენახული, რაც მათს ხარისხს მოწმობს. სიანგანში სახელმწიფო სამსახურში დარჩენილ თითო-ოროლა ინგლისელთაგან ერთ-ერთი — მიჰმენი უარს ამბობს თქვას, რა მოგების მიღებას მოელის აუქციონისაგან ყოფილი კოლონიის მთავრობა. ცნობილია, რომ ჩვეულებრივი სასადილო სერვიზი ექვსი პერსონისათვის, რომელსაც გერბი ამშვენებს, წინა აუქციონზე 1600 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-უორტის“ მასალების მიხედვით
უძღვება
**არჩილ მანჯგალაძე.**

კალათბურთი

# ჩემპიონი ერთპიროვნული ლიდერია

ვერის პარკში გრძელდება საქართველოს VII ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. გუშინ სამივე შეხვედრა ძალიან დაძაბულად წარიმართა, რაც მოსალოდნელი იყო კიდეც, რადგან ერთმანეთს თითქმის თანაბარი ძალის კოლექტივები ხვდებოდნენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდისა და „შევარდენის“ მატჩი სტუდენტთა იერიშებით დაიწყო და მე-10 წუთისთვის ისინი 22-ქულიანი სხვაობით დაწინაურდნენ — 32:10. წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ძმების — დათო და ირაკლი ბერიშვილების კარგმა თამაშმა. მატჩის მიწურულს „შევარდენი“ გამოცოცხლდა, ერთ მომენტში მაჭავარიანის (30 ქულა) კარგი თამაშის წყალობით, 8 ქულამდეც შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო და პირველი დამარცხება იწვნია — 83:93.

დრამატულად წარიმართა „დინამო-2“-ისა და „კოლხას“ ორთაბრძოლა. ორივე გუნდი ახალგაზრდა კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული. მატჩი დინამოელთა შეტევებით დაიწყო და ის 8-10-ქულიანი უპირატესობა, რომელიც მათ მოიპოვეს შეხვედრის დასაწყისში, საკმაოდ უპრობლემოდ მიჰყავთ შესვენებამდე, მაგრამ მეორე ტაიმის პირველი 10 წუთი დინამოელებმა პირწმინდად — წააგეს — სოხუმელი კალათბურთელები 6 ქულით დაწინაურდნენ — 48:42. მატჩის დამთავრებამდე 20 წამით ადრე კი „დინამო“ იყო წინ ორქულიანი უპირატესობით. ბურთს „კოლხა“ ფლობდა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, დინამოელთა მეტევა მეტიგიანი — მონაგარს ორი ქულაც მიუმატეს და გაიმარჯვეს კიდეც — 74:70.



ტურის ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შარშანდელი ჩემპიონი „ვითა“ და წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი სდასუ, რომლებსაც ამ მატჩამდე ორ-ორი გამარჯვება ჰქონდათ. პაექრობა 9 წუთის დაწყებული იყო, „ვითა“ რომ იგებდა მეხვედრას 19 ქულით — 30:11. ამის შემდეგ სდასუს კალათბურთელები გააქტიურდნენ და მათი ლიდერების — ჩერქეზიშვილის და სანაძის ზუსტი ტყორცნების შედეგად ანგარიშში სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა — 36:34. პირველი ტაიმის ბოლო ხუთწუთიანი მონაკვეთი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ჩემპიონები შესვენებაზე მხოლოდ ოთხქულიანი უპირატესობით წავიდნენ — 51:47.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე „ვითამ“ კვლავ გაზარდა ანგარიში, თანაც 5 პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დატოვა სდასუს ერთ-ერთმა ლიდერმა რეზო ჩხეიძემ, მაგრამ ეტყობოდა, სტუდენტები ასე ადვილად არ დათმობდნენ მატჩს. მეორე ტაიმის შუაში მათ შეძლეს დაწინაურება — 73:71. შეხვედრის 37-ე წუთზე სდასუ უკვე 9 ქულით იგებდა მატჩს. ამ დროს 5 პერსონალურის გამო მოედანი დატოვა სანაძემ. დანაკლისი ამჯერად დაეტყო გუნდს. საფინალო სასტვენამდე 45 წამით ადრე ამ დღეს შესანიშნავად მოთამაშე აბრამიძემ სამქულიანი ტყორცნით დააწინაურა „ვითა“ — 92:90, რასაც ჩერქეზიშვილმა ორი ზუსტი საჯარიმო ტყორცნით უპასუხა — 92:92. ძირითადი დროც ამოიწურა. გულშემატკივრები დაძაბულ ორთაბრძოლას მოელოდნენ დამატებით დროში, მაგრამ არ გაუმართლდათ. ხუთწუთიან მონაკვეთში 5-5 პერსონალური მიიღეს ჩერქეზიშვილმა და მოთამაშე მწვრთნელმა დერიუგინმა. სდასუმ 4 კალათბურთელით დაასრულა მატჩი. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 109:99 „ვითას“ სასარგებლოდ.

ამ გამარჯვებით „ვითა“ 3 შეხვედრიდან 3 მოგებით ერთპიროვნულად დაწინაურდა. 2-2 გამარჯვება აქვთ სდასუს და „შევარდენს“.

**იაგო სავანელი.**

ჭიდაობა

# კურტანიძე... „ბავარიიდან“



თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე სოხუმელმა ელდარ კურტანიძემ წლეულს მეექვსედ იჭიდავა და ზედიზედ მეექვსედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, თანაც ვაჟკაცური შემართებისთვის აფხაზეთში გმირულად დაღუპული ჟიული შარტავას პრიზიც დაიმსახურა, რომელიც თბილისის სპორტის სამმართველომ დააწესა.

ელდარ კურტანიძე ამ შეჯიბრებისთვის სპეციალურად ჩამოვიდა... გერმანიიდან, სადაც იგი ბუნდესლიგაში ასპარეზობს გოლდბახის „ბავარიის“ შემადგენლობაში.

— შარშან ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატზე გოლდბახელთა ჭიდაობის კლუბის პრეზიდენტი ჯოზეფ გრაფი მოვიდა ჩემთან და გერმანიაში გადასვლა შემომთავაზა, — გვითხრა ელდარმა, — პირობებს რომ გავეცანით მე და ჩემი მწვრთნელები — გია გალდავა და ზაზა თურმანიძე, კონტრაქტზე ხელი მოვაწერე. წლეულს 16 სექტემბერს გავემგზავრე გოლდბახში. გერმანიის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 10 გუნდი ასპარეზობს, რომლებიც ორ წრედ უძლიერესის სახელს ეცილებიან ერთმანეთს. აქ გამოდიან მსოფლიოში ცნობილი ფალავნები: პოლონელი ოლიმპიური ჩემპიონი ბრონსკი, მსოფლიო ჩემპიონი საბეევი, ბარსელონის ოლიმპიადის II პრიზიორი ბალცი, მსოფლიო ჩემპიონი ლეიპოლდი, ევროპის ჩემპიონი ტოგუზოვი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი ტილე და სხვები. ჩემთან ერთად კლუბში არის ოლიმპიური ჩემპიონი მაიკლ ბულმანი. ბუნდესლიგის პირველობა 25 აგვისტოს დაიწყო. შეჯიბრებები მაბათობით იმართება. რადგანაც გვიან ჩავედი, ზედიზედ მომიწია რვა მეხვედრის ჩატარება და ყველა მოვიგე, მათ შორის შიფერშტადტელი საბეევი და ლუკენვალდელი ბალციც დავამარცხე. ახლა ჩვენს კლუბს ცხრა გუნდური მოგება აქვს და პირველი წრის შემდეგ ლიდერობს. მეორე წრე პირველ ნოემბერს იწყება. რადგან ახლა არდადეგები გვაქვს, კლუბის ხელმძღვანელებმა უარი არ მითხრეს თბილისში წამოსვლაზე.

— პირობები როგორი გაქვს?

— ჩინებული. ქალაქის ცენტრში მომცეს ერთოთახიანი ბინა, მანქანა, მემსახურება პირადი ექიმი და მასაჟისტი. კლუბს, რომელიც გერმანიის რვაგზის ჩემპიონია, საწვრთნელი პირობებიც შესანიშნავი აქვს. ყოველივე ეს ჩემთვის აუცილებელია, რადგან ჩვენთან ზამთრობით ხომ ვარჯიში შეუძლებელია. უძლიერეს ფალავნებთან ორთაბრძოლები კი სპორტული ფორმის შენარჩუნებამიც დამეხმარება.

ერთი სათხოვარიც მექნება: ბოლო ორი წელიწადია მე და სოხუმიდან დევნილ ჩემს ოჯახს დიდ დახმარებას გვიწევენ ლაგოდეხის რაიონის ხელმძღვანელები, განსაკუთრებით გამგებელი ნუგზარ კიკაჩეიშვილი და პოლიციის უფროსი სერგო ცერცვაძე. თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა მინდა ვუთხრა მათ გულისხმიერებისათვის.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

*სურათზე: ელდარ კურტანიძე*
*ავტორის ფოტო.*

# წარმატება ვანაძორში

სომხეთის ქალაქ ვანაძორში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1981-1983 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში საქართველოს, ირანის, რუსეთისა და სომხეთის 180 სპორტსმენი მონაწილეობდა. წარმატებით იასპარეზა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილი, მწვრთნელი გია კოტიაძე), რომელიც 1982-1983 წლებში დაბადებული ჭაბუკებით იყო დაკომპლექტებული, სწორედ იმ ასაკის მოჭიდავეებით, რომლებიც გაისად ინგლისში მსოფლიო პირველობაზე გამოვლენ, ხოლო მოსკოვში — მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში. ბენდიანიშვილის მეგირდებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდა — მათ სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ გორელი მალხაზ მუზიაშვილი (52 კგ.), თბილისელი ზვიად ნასყიდაშვილი (69 კგ.) და მცხეთელი კობა სეთიაშვილი (83 კგ.). მეორე ადგილზე გავიდნენ — გორელი ბესიკ გუჩაშვილი (48 კგ.) და თბილისელი მოთა ბოლოლაშვილი (69 კგ.), ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ გორელი ვასილ ჩოხელი (76 კგ.) და თბილისელები — დავით ბოლოლაშვილი (69 კგ.) და ირაკლი ვალნიძე (95 კგ.).

**გიორგი სიგუა.**

კრივი

## პირველი შედეგები

ბუდაპეშტში დაწყებულმა მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატმა ქართველ გულშემატკივრებს სიხარულთან ერთად გაწბილებაც მოუტანა. ჯერჯერობით რინგზე გამოსული ოთხი ჩვენებურიდან ტურნირის ჯილდოებისათვის ბრძოლას ორი განაგრძობს.

პირველი გამარჯვებები მოიპოვეს თენგიზ ჯაოშვილმა და აქტიურ სპორტში დაბრუნებულმა გიორგი კანდელაკმა, გოგა რუსიამ და რამაზ გაზაშვილმა კი ტრიბუნაზე გადაინაცვლეს.

ჭადრაკი

## შეხვედრა მაღალ დონეზე

სტამბოლში, სულთან შაჰის საზაფხულო რეზიდენციაში, ამჟამად კი სასტუმრო „კემპინსკიში“, მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, ტილბურგში სუპერ-ტურნირის დამთავრების შემდეგ პირდაპირ იქ რომ ჩავიდა, ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 29 დაფაზე. მართალია, დიდოსტატის მოწინააღმდეგეთა საშუალო კვალიფიკაცია ოსტატობის კანდიდატის სიძლიერეზე ნაკლები არ ყოფილა, მაგრამ მხოლოდ ერთმა მათგანმა მიაღწია მსოფლიო ჩემპიონთან ყაიმს.

მეორე დღეს კასპაროვი ანკარას გაემგზავრა, სადაც თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელს შეხვდა.

ყოველი მხრიდან

# პელეს საფეხბურთო გაკვეთილი კლინტონისათვის




ბრაზილიის სპორტის მინისტრმა, „ფეხბურთის მეფედ“ აღიარებულმა პელემ თავისი უჭკნობი ოსტატობის ზოგიერთი საიდუმლო გაუმჟღავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბილ კლინტონს. ეს მოხდა რიო-დე-ჟანეიროს მახლობლად მოქმედ სპორტულ სკოლაში, რომელსაც ეწვია ბრაზილიაში ვიზიტად მყოფი პრეზიდენტი. ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრა მიეძღვნა ექსცენტრულ... ერის პროექტს. მისი განხორციელება ითვალისწინებს ღარიბი ოჯახის შვილებისთვის საჭირო განათლების მიცემას, სხვათა შორის, სპორტის მეშვეობითაც და სწორედ აქ, სპორტულ სკოლაში ჩაუტარა პელემ ფეხბურთის გაკვეთილები საპატიო სტუმარს.

*სურათზე: პელესა და ბილ კლინტონის საფეხბურთო ორთაბრძოლა.*

# ფული მაინც ფულია!

ძალზე სასიამოვნო ცნობა გაავრცელა რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა: სულ მალე ხელს მოაწერენ ბრძანებას პირველი ნოემბრიდან იმ სპორტსმენებისათვის სტიპენდიების გაზრდის შესახებ, ვინც თავს გამოიჩენს ოფიციალურ შეჯიბრებებში. ამიერიდან „მოქმედი“ ოლიმპიური ჩემპიონები თვეში 6 მილიონ რუბლს მიიღებენ, ამ თამაშების პრიზიორები — 2 მილიონს. მსოფლიო ჩემპიონის გასამრჯელო იქნება 4 მილიონი რუბლი, „ვერცხლის“ პრიზიორისა — სამი, ხოლო „ბრინჯაოს“ მფლობელისა — 2 მილიონი.

რაც შეეხება ევროპულ ჩემპიონატებს, აქ ოქროს მედლის კავალერს ორი მილიონი რუბლი ელოდება, „ვერცხლის“ და „ბრინჯაოს“ პრიზიორებს კი შესაბამისად — 1,5 და ერთი მილიონი რუბლი.

ეს ბევრია თუ ცოტა — ...ლი განსასჯელი არაა, მაგრამ ფული მაინც ფულია და მასზე მადლობის მეტი რა ეთქმით.

# ხიდი KÖPRÜ

ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.
შოთა რუსთაველი

KİM DOSTUNU ARAMAZSA,
KENDİ CANINA
DÜŞMANDIR EVVEL.
Şota Rustaveli

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება № 9 (60)


## თურქეთთან ხელშეკრულების ხელმოწერით დაიწყო ურთიერთთანამშრომლობის დიდი ცხოვრება ორ ქვეყანას შორის.

ედუარდ შევარდნაძე

### თანამშრომლობის ახალი ეტაპი

## საქართველო-თურქეთის პირველი სრულმასშტაბიანი ხელშეკრულების 5 წელი



წლეულს, 30 ივლისს შესრულდა 5 წელიწადი მას შემდეგ, რაც იმხანად საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა ხელი მოაწერეს საქართველო-თურქეთის პირველ სრულმასშტაბიან ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ.

ეს თარიღი (1992 წლის 30 ივლისი) საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისია. ამ ხნის მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა საქართველო-თურქეთის ურთიერთთანამშრომლობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგებში.

თანამშრომლობის 5 წელიწადი ის მიჯნაა, რომლის გადასახედიდან შეიძლება გავაანალიზოთ ეს პერიოდი, განვაზოგადოთ მიღწეული წარმატებები და აღვნიშნოთ ხარვეზებიც.

სწორედ ამ მიზანს ისახავს წერილების სერია, რომელიც მოკლედ გადმოგვცემს საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ხუთწლოვან ისტორიას.

იხ. მე-6 გვ.

### მეჯლისში

## ჰიქმეთ ჩეთინი — თურქეთის მეჯლისის ახალი თავმჯდომარე

14 ოქტომბერს დაიწყო და მეოთხე ტურით დამთავრდა თურქეთის მეჯლისის თავმჯდომარის არჩევნები. მეჯლისის წევრთა უმრავლესობამ, 373 დეპუტატმა ამ პოსტზე ხმა მისცა სახალხო რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელს, დეპუტატს გაზიანთეფიდან ჰიქმეთ ჩეთინს.



მეჯლისის ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ მადლობა მოახსენა დეპუტატებს დიდი ნდობისათვის და აღუთქვა, რომ იგი გაატარებს ათათურქის პოლიტიკას და შეეცდება იყოს ობიექტური ყველას მიმართ.

ჰიქმეთ ჩეთინი, როგორც თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, ვიზიტად იყო საქართველოში. მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა საქართველო-თურქეთის პირველი სრულმასშტაბიანი ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ედუარდ შევარდნაძემ და სულეიმან დემირელმა 1992 წლის 30 ივნისს.

### სიახლე

## თურქეთში სწავლობენ ქართულ ენას

1997 წლის 3 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქის ანკარის უნივერსიტეტის უცხო ენების შემსწავლელ, ეგრეთ წოდებულ „თომერის“ კურსებზე მუშაობას შეუდგა ქართული ენის შემსწავლელი განყოფილება.

თურქეთის დედაქალაქში ქართული ენის შემსწავლელი კურსების ჩამოყალიბება უპრეცედენტო შემთხვევაა ჩვენი ქვეყნების ისტორიაში.

ამ საშვილიშვილო საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს საელჩოს თანამშრომლებმა თურქეთში.

### თბილისობა — სრულიად საქართველოს დღესასწაული



**Tbilisoba (Tiflis bayramı) Tüm Gürcistan bayramıdır**

1970-80 yıllarında Gürcistan'da 100'ü aşkın ulusal bayram yeniden dirildi ve doğdu. 600'den fazla tarihsel mimari eser yeniden kuruldu ve bayındır oldu. Restorasyon işlerinin tamamlanması halk şenlikleriyle kutlanırdı. Bu halk şenliklerinin zirvesi ise Tüm Gürcistan Bayramı Tbilisoba idi. Bütün bunları yönelten ve destekleyen Gürcistan Cumhuriyeti'nin önderi Eduard Şevardnadzeydi.

İlk Tbilisoba Ekim 1979'de düzenlendi. O günlerde çokçeşitli bayram tedbirleri arasında Tiflis'ın Onursal Vatandasları seçim töreni konuldu. 1980 yıllarının sonlarında Tiflis'te mitingler ve gösteriler tüm şiddetiyle sürerken Tbilisoba için kimsenin vakti yoktu.

Ve işte 1995 yılının Ekimi'nde 7 yıl önce unutulmuş kardeşlik, dostluk ve birlik bayramı Tbilisoba Eduard Şevardnadze'nin girişimiyle gene yeniden doğdu. Bu bayram yeni mana, ebedi geleneklerin yeniden doğuşuyla doldu.

Tüm Gürcistan'ın bu mükemmel bayramı geçen yılın sonbaharında geniş bir biçimde kutlandı.

Bu yılki Tbilisoba birlik, hoşgörürlük, barışma bayramıdır.

Tüm Gürcistan ve herkes, kimin için birlik ve bütünlük, ülkemizin bütünlüğü en önemlidir, bu bayrama katılıyor.

## ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ 5 ᲬᲔᲚᲘ

### ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

### სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ურთიერთობაში შესამჩნევი ძვრები მე-20 საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო, როცა ყოფილი სსრ კავშირი ე. წ. „პერესტროიკამ" მოიცვა. იგი, უპირველესად, ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო გზების, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას დაეტყო. დაიწყო „დიდი ტურიზმის ტრასის" — სამტრედია-სარფი-ხოფა-ართვინის მშენებლობა, დაარსდა საბჭოთა კავშირ- თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური „სოვთურ-ჩუგოროვას" ფირმა, სადაც წამყვანი ადგილი საქართველოს ეჭირა. ამას მოჰყვა თეატრალური კოლექტივების, პროფესიული და თვითმოქმედი ანსამბლების გასტროლები როგორც თურქეთში, ისე საქართველოში და ა.შ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991 წლის 31 მარტი) თურქეთის რესპუბლიკა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

მაგრამ, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა სათანადოდ ვერ განვითარდა საქართველოში შექმნილი გაურკვეველი ვითარების გამო, რასაც ზვიად გამსახურდიას ერთწლიანი რეჟიმი განაპირობებდა.

ორ ქვეყანას შორის აქტიური ურთიერთობა დაიწყო საქართველოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ (1992 წლის 7 მარტი). უკვე 1992 წლის 25 ივნისს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ, როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის აუზის ქვეყნების ხელმძღვანელთა შეკრებაზე, რომელიც სტამბოლში გაიმართა. შეკრებაზე ბატონმა ედუარდმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა, შეხვდა თურქეთის და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებს. ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა ამ ქვეყნის ცნობილ ბიზნესმენებს — თურქეთის ქართული წარმოშობის მოქალაქეებს. ბატონმა ედუარდმა იმედი გამოთქვა, რომ ისინი შეძლებდნენ საიმედო, ბუნებრივი ხიდით დაეკავშირებინათ საქართველო და თურქეთი.

აქედან იღებს სათავეს ქართულ-თურქულენოვან გაზეთ „ხიდის" სახელწოდება, რომლის პირველი ნომერი ერთი თვის შემდეგ, 1992 წლის 29 ივლისს გამოვიდა. იგი მიეძღვნა თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის ჩამოსვლას (1992 წლის 30 ივლისი), რომელსაც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი ხელმძღვანელობდა.

ჩამოსვლის დღეს, 30 ივლისს, პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს, სხვა ოფიციალურ პირებს. შემდეგ გაიმართა შეხვედრა სახელმწიფო საბჭოს წევრებთან. შეხვედრაზე საპატიო სტუმრებს მიესალმა ბატონი ედუარდ შევარდნაძე. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა.

საპატიო სტუმარს თურქულ ენაზე მიმართა სახელმწიფო საბჭოს წევრმა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. შემდეგ გამოვიდა თურქეთის ეროვნული მეჯლისის დეპუტატი ართვინიდან ჰასან ექინჯი (ქურციკიძე), რომელიც თავის თანამოძმეთ ქართულ ენაზე მიესალმა.

გაიმართა ხელშეკრულებების ხელმოწერის ცერემონია. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებათა მთელ პაკეტს:

ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ;

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება;

ხელშეკრულება ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ;

ხელშეკრულება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ;



საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია.

ხელშეკრულება სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე თანამშრომლობის შესახებ;

ოქმი კავშირგაბმულობის დარგში თანამშრომლობის თაობაზე.

იმავე დღეს მიიღეს საქართველო-თურქეთის ერთობლივი განცხადება, რომელშიც მხარეებმა დაადასტურეს ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული და სოციალური ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავების სურვილი და აღნიშნეს ამ მიმართულებით სწრაფი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობის განვითარებასა და გაფართოებაში „ექსიმბანკი" განსაკუთრებული ფინანსური დახმარების სახით საქართველოს გამოუყოფდა კრედიტს 50 მილიონი დოლარის რაოდენობით.

მხარეები შეთანხმდნენ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც.

1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება დაიდო 10 წლის ვადით. შეთანხმდნენ, რომ იგი გაგრძელდება შემდგომი ხუთი წლით, თუ რომელიმე მხარე აღნიშნული ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ გამართა სადილი თურქეთის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის პატივსაცემად.

იმავე დღეს სასტუმრო „მეტეხში" გაიმართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. კითხვებს უპასუხეს ბატონებმა სულეიმან დემირელმა და ედუარდ შევარდნაძემ.

საღამოს თურქეთის რესპუბლიკის დელეგაცია სულეიმან დემირელის მეთაურობით სამშობლოში გაემგზავრა.

თბილისში ყოფნისას სულეიმან დემირელი გაეცნო ქართულ-თურქულენოვან გაზეთ „ხიდს" და მის პირველ გვერდზე წააწერა: „ხიდმა" ორი ნაპირი უნდა დააკავშიროს. წარმატებას ვუსურვებთ".

განუზომელია საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტის მნიშვნელობა. ეს იყო თურქეთის, ამ უზარმაზარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში. საქართველოსა და თურქეთს შორის ხელშეკრულების ხელმოწერით ორ მეზობელ ქვეყანას ურთიერთთანამშრომლობის ახალი ასპარეზი გადაეშალა, დაიწყო საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ახალი ეტაპი. „თურქეთთან ხელშეკრულების ხელმოწერით დაიწყო ურთიერთთანამშრომლობის დიდი ცხოვრება ორ ქვეყანას შორის" (ედუარდ შევარდნაძე).

თურქეთის საზოგადოებრიობამ, მეჯლისის დეპუტატებმა კმაყოფილებით აღიქვეს საქართველო-თურქეთის 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება. უკვე 28 სექტემბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ (მეჯლისმა) განიხილა და ერთხმად იურიდიული ძალა მისცა აღნიშნულ ხელშეკრულებას.

საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული დადგენილების რატიფიკაცია ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მოახდინა 1993 წლის 25 მარტს. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს პარლამენტარებმა მერაბ კოსტავას საზოგადოებიდან და ზოგიერთმა სხვა დეპუტატმა.

პარლამენტის ზოგიერთი წევრი არ ეთანხმებოდა მთავარი ხელშეკრულების პრეამბულაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ მხარეები ხელმძღვანელობდნენ 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით და რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის. ამის თაობაზე „საქართველოს რესპუბლიკაში" და „ხიდში" გამოქვეყნდა ქართველ მეცნიერთა სტატიები, დასაბუთებული არგუმენტები, რომლებიც მთლიანად აქარწყლებდნენ მათ შეხედულებათა უსუსურობას.

1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე კენჭს იყრიდა ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც ხმა მისცა ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ — 96 პროცენტმა. სრულიად საქართველომ თავისი კანონიერი პარლამენტი და მისი თავმჯდომარე აირჩია.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გამარჯვება მიულოცეს ამერიკისა და ევროპის, აზიისა და აფრიკის, თითქმის მთელი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების მეთაურებმა, მათ შორის, თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა — პრეზიდენტმა თურგუთ ოზალმა, პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა, თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარემ ჰუსამეთინ ჯინდორუქმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიქმეთ ჩეთინმა, თურქეთის ზოგიერთი ვილაიეთის გუბერნატორმა, ქალაქების მერებმა, გამოჩენილმა თუ რიგითმა ადამიანებმა, ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებმა.

1993 წლის 17 აპრილს გულის შეტევით გარდაიცვალა თურქეთის რესპუბლიკის მერვე პრეზიდენტი თურგუთ ოზალი.

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით 1993 წლის 20-21 აპრილს მონაწილეობა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თურგუთ ოზალის დაკრძალვის ცერემონიაში. დელეგაციაში შედიოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე და სხვა ოფიციალური პირები.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ანკარაში საქმიანი შეხვედრები ჰქონდა 15-ზე მეტი ქვეყნის დელეგაციების ხელმძღვანელებთან. იგი კვლავ შეხვდა და ესაუბრა თურქეთის პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელს, მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებები კავკასიასა და მსოფლიოში მშვიდობის მიღწევის გზების შესახებ, ისაუბრეს აფხაზეთისა და ყარაბაღის გარშემო შექმნილ სიტუაციაზე და სხვა საკითხებზე.

1993 წლის 16 მაისს თურქეთის მეჯლისმა ქვეყნის მეცხრე პრეზიდენტად აირჩია მსოფლიოში სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე სულეიმან დემირელი, რომელიც მანამდე შვიდჯერ იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ გულთბილად მიულოცეს თურქეთის ახალ პრეზიდენტს ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფოს თანამდებობაზე არჩევა.

თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ახლადარჩეული პრეზიდენტი გათავისუფლდა სწორი (ჭეშმარიტი) გზის პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან. პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ აირჩიეს პროფესორი თანსუ ჩილერი. მალე იგი თურქეთის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა.

1993 წლის 29 ოქტომბერს შესრულდა თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 70 წელი. თურქი ხალხის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა მისალოცი ბარათი გაუგზავნა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს.

მისალოც ბარათში, სხვათა შორის, აღინიშნა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი, ურთიერთსასარგებლო და ნდობით აღსავსე ურთიერთობების ჩამოყალიბებას პირადად ჩვენი ადამიანური მისწრაფებები, ურთიერთპატივისცემისა და კოლეგიალობის წრფელი სურვილი უდევს საფუძვლად, რაც ქართველი და თურქი ხალხების კეთილ მისწრაფებას გამოხატავს და იმის სრული გარანტიაა, რომ წინ არის ნაყოფიერი თანამშრომლობის და შემდგომი დაახლოების სიკეთით აღსავსე მომავალი".

უკეთესად ვერ იტყვი. როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, სწორედ ასეთი გზით წარიმართა ორი ქვეყნის, მათი ლიდერების ურთიერთობა შემდგომ წლებში.

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა სულეიმან დემირელმა ჯერ კიდევ ადრე, 1992 წლის 30 ივლისს თბილისში ყოფნის დროს ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია თურქეთში ბატონი ედუარდ შევარდნაძე: ამის შესაძლებლობა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს მხოლოდ 1994 წლის იანვარში მიეცა.

თურქეთმა ღირსეულად მიიღო საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია. თურქეთის საჰაერო სივრცეში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის თვითმფრინავს მიჰყვებოდა თურქეთის სამხედრო საჰაერო ძალების ოთხი ავიაგამანადგურებლისაგან შემდგარი საპატიო ესკორტი.

პრეზიდენტის სასახლის წინ გამართული შეხვედრის საზეიმო ცერემონია დასტური იყო იმ განსაკუთრებული პატივისა, რომელიც მასპინძლებმა მიაგეს საპატიო სტუმარს, როცა სულეიმან დემირელი და ედუარდ შევარდნაძე ტრადიციულ „ოქროს კარავში" ავიდნენ, ოცმა საარტილერიო ზალპმა შეძრა არემარე. საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკის ჰიმნების შესრულების შემდეგ სახელმწიფოს მეთაურებმა ჩაუარეს ყველა სახეობის ჯარებისაგან შემდგარი საპატიო ყარაულის მწკრივს და წარმოთქვეს სიტყვები.

იმავე დღეს ე. შევარდნაძე და ს. დემირელი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც გაიმართა მოლაპარაკება გაფართოებული შემადგენლობით.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძე შეხვდა თურქეთის პრემიერ-მინისტრს თანსუ ჩილერს, თურქეთის პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერს მესუთ ილმაზს, თურქეთში აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს.

მეორე დღეს საქართველოს დელეგაცია ეწვია მეჯლისს. ედუარდ შევარდნაძისა და მეჯლისის თავმჯდომარის ჰუსამეთინ ჯინდორუქის შეხვედრის დროს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა წინადადება წამოაყენა თბილისში ორი ქვეყნის პარლამენტართა შეხვედრისა და ერთობლივი სხდომის გამართვის შესახებ.

საუბრებისა და მოლაპარაკების შემდეგ ხელი მოაწერეს ოქმს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა



პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრა

და თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების (მეჯლისის) თანამშრომლობის შესახებ.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და სოლიდარობის დეკლარაციას, აგრეთვე სხვა დოკუმენტებს, კერძოდ — სამთავრობათაშორისო შეთანხმებებს უშიშროების დარგში თანამშრომლობის შესახებ, საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ, საბაჟო დოკუმენტაციის ორმხრივი აღიარებისა და საბაჟო უზრუნველყოფის შესახებ, ტურიზმისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ, ოქმს სოფლის მეურნეობის დარგში ტექნიკური, სამეცნიერო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, ოქმს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტსა და თურქეთის რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს შორის ვაჭრობის, ეკონომიკური სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, მემორანდუმს საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთგაგების შესახებ ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკების შედეგების შესაბამისად.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის სამშობლოში გაცილების საზეიმო ცერემონიაში თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან ერთად მონაწილეობდნენ თურქეთის პრემიერ-მინისტრი, ქალბატონი თანსუ ჩილერი, დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე ჰუსამეთინ ჯინდორუქი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი და ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლები.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტმა თურქეთში დაადასტურა, რომ ორივე ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ურთიერთგაგების საფუძველზე განავითაროს კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობა.

საქართველოსა და თურქეთის ხელმძღვანელებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარების, ამ ქვეყნებს შორის არსებითად ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის გაფართოება-გაღრმავებაში პოზიტიური როლი შეასრულეს თბილისსა და ანკარაში შექმნილმა საელჩოებმა, ბათუმისა და ტრაპიზონის საკონსულოებმა, სავაჭრო წარმომადგენლობებმა.

1994 წლის 11 აპრილს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს რწმუნების სიგელები გადასცა თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში თეფიქ უფუქ ოქიაუზმა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. მე-5 გვ.

იხ. მე-7 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა
№262. ოთხშაბათი, 22 ოქტომბერი, 1997 წელი.
ხიდი · საქართველო-თურქეთი · KÖPRÜ



# თანამშრომლობის ახალი ეტაპი

# საქართველო-თურქეთის პირველი სრულმასშტაბიანი ხელშეკრულების 5 წელი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. მე-5-6 გვ.

1994 წლის მარტში თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა თურქოლოგი ნოდარ კომახიძე, რომელსაც მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ამავე წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ანკარაში საქართველოს საელჩოს ფასადზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა აღიმართა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მოწვევით 1994 წლის 15 ნოემბერს თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი ოფიციალურ ვიზიტად საქართველოში ჩამოვიდა.

პრეზიდენტს თბილისის აეროპორტში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. საპატიო სტუმარს თვითმფრინავის კიბესთან გულთბილად მიესალმნენ ბატონი ედუარდ შევარდნაძე, სხვა ოფიციალური პირები. კრწანისში, სტუმრის რეზიდენციაში, გაიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის საუბარი.

იმავე დღეს გაიმართა მხარეთა შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობით, რომლის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურებმა მოაწყვეს პრესკონფერენცია. ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა თურქეთის პრეზიდენტის ვიზიტს საქართველოში. მან ჟურნალისტებს აცნობა, რომ საუბრის დროს მხარეებმა კმაყოფილებით დაადასტურეს, რომ წარმატებით ხორციელდება ორ ქვეყანას შორის ადრე ხელმოწერილი შეთანხმებანი ეკონომიკის, ვაჭრობისა და კულტურის სფეროებში, იმსჯელეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების გზებზე.

სულეიმან დემირელმა ხაზგასმით აღნიშნა ქართველი და თურქი ხალხების განსაკუთრებული სიახლოვე, რასაც დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტი, რომ თურქეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ცნო ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

შემდეგ სულეიმან დემირელი ეწვია აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს. ცენტრის პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე მიესალმა საპატიო სტუმარს, ამ ცენტრის ერთ-ერთ პირველ საპატიო წევრს და მადლობა გადაუხადა საქართველოში სტუმრობისა და ცენტრში მობრძანებისათვის.

საპატიო სტუმარს მიესალმნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ნოდარ ჯანაშია, საქართველოს სახალხო მხატვარი თემურ გოცაძე, რომელმაც თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცა საქართველოს სახალხო მხატვრის ელმონდ კალანდაძის ფერწერული ტილო „გურიის პეიზაჟი".

შემდეგ მსოფლიო და რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე მოხსენება გააკეთა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით მიღებულ იქნა ერთობლივი კომუნიკე.

მოლაპარაკების დროს განიხილეს გლობალური და რეგიონული მნიშვნელობის საკითხები, მოხდა აზრთა გაზიარება ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. სახელმწიფოს მეთაურები შეთანხმდნენ, რომ გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან ერთად ეთნიკური და სამხედრო კონფლიქტების მოსაგვარებლად და რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და წესრიგის დასამყარებლად. ისინი მიესალმნენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში მიღწეულ პროგრესს და იმედი გამოთქვეს, რომ იგი ხელს შეუწყობს პარტნიორობის გაფართოებას, ურთიერთსარგებლობას და დაამკვიდრებს მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში.

მათ აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისათვის სასარგებლო ეკონომიკური პროექტების გააქტიურებას ისეთ სფეროებში, როგორიც არის პირდაპირი ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და თავისუფალი ზონები.

განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო ევროპა-აზიის საკომუნიკაციო დერეფნის ამოქმედებას და, კერძოდ, ენერგომშემცველების ტრანზიტის პროექტის განხორციელების დაჩქარების აუცილებლობას. სახელმწიფოს მეთაურებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის ახალი სასაზღვრო გადასასვლელების გახსნის საკითხი, აღნიშნეს, რომ ყველაფერს იღონებენ მათ ასამოქმედებლად ახლო მომავალში, კმაყოფილება გამოთქვეს, რომ დინამიკურად ვითარდება ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის.


თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენცია.

იმავე საღამოს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სამშობლოში გაემგზავრა.

1995 წლის 23 აპრილს თურქეთში აღინიშნა ეროვნული სუვერენიტეტის დღესასწაული — დიდი ეროვნული კრების 75 წლისთავი.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე. საზეიმო გამოსვლაში აღინიშნა, რომ თურქეთის პარლამენტი წარმოადგენს ლაიცისტური და დემოკრატიული რესპუბლიკის მტკიცე დასაყრდენს.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ეს თარიღი გულთბილად მიულოცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

უფრო ადრე ორი ქვეყნის ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ 31 ივლისს ისინი ერთმანეთს შეხვდებოდნენ ახალციხის ზონაში ახალი სასაზღვრო — გამშვები პუნქტის გახსნის დროს.

ეს დღეც დადგა.

31 ივლისს საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე დაბა ვალედან 6-7 კილომეტრზე, თურქეთის არდაგანის მომიჯნავე პროვინციასთან გაიხსნა მეორე საკონტროლო გამშვები პუნქტი.

გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, აგრეთვე, ამ ქვეყნების პრემიერ-მინისტრები ოთარ ფაცაცია და თანსუ ჩილერი. ახალი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნით გაიდო კიდევ ერთი ხიდი, რომელიც უმოკლესი გზით თურქეთთან და ახლო აღმოსავლეთის, ევროპის სხვა სახელმწიფოებთან აკავშირებს არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთს, აზერბაიჯანს და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს.

მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნის შესახებ.

შემდეგ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები დელეგაციების წევრებთან ერთად გაემგზავრნენ ბორჯომში, სადაც გაიმართა მათი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-თურქეთს შორის სხვადასხვა სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე, რეგიონული პრობლემები, კერძოდ, სიტუაცია კავკასიასა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებში.

საქართველოში შეხვედრების შემდეგ ს. დემირელი და თ. ჩილერი ჩავიდნენ არტაანში და მონაწილეობა მიიღეს მთავრობის სასახლის საფუძვლის ჩაყრასა და საგუბერნიო ადმინისტრაციული შენობის გახსნის ცერემონიაში.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის საგანგებო სესიამ თავის სხდომაზე მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. ქვეყნის ძირითადი კანონის შესაბამისად, რომელსაც ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე 167 დეპუტატიდან 159-მა, საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რომლის პოლიტიკური წყობილებაა დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს კონსტიტუციაზე ხელმოწერის საზეიმო ცერემონია დაიგეგმა მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში 29 აგვისტოს. ამ დღეს ცერემონიაზე მიმავალ საქართველოს პრეზიდენტზე პარლამენტის ეზოში განხორციელდა შემაძრწუნებელი ტერორისტული აქტი. ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის საბედნიეროდ, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამ შემზარავ ტერორისტულ აქტს გადაურჩა. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ლიდერებმა გამოუგზავნეს დეპეშა საქართველოს მთავრობას, პირადად ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ამ აღმაშფოთებელი ფაქტის გამო და გადარჩენა გულწრფელად მიულოცეს. მეორე დღეს კი რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. ქართველმა ხალხმა დაგმო ეს ვანდალური აქტი და თავისი თანადგომა გამოუცხადა ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი კენჭს იყრიდა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. ამ განცხადებას მიტინგი მქუხარე ტაშით შეეგება.

31 აგვისტოს საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი. იმავე დღეს გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანსუ ჩილერის კონფიდენციალური საუბარი, მოეწყო შეხვედრები ათ დარგობრივ სამუშაო ჯგუფში. ორივე ქვეყნის სამინისტროების, უწყებათა ხელმძღვანელებმა, ბიზნესმენებმა განიხილეს ენერგეტიკისა და ნავთობსადენების, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის, ბანკებისა და ფინანსების, ბიზნესის, მეცნიერების, საგზაო ტრანსპორტის, თავდაცვის, უშიშროების, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის, პრესის დარგებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხები.

გაიმართა ორი ქვეყნის მთავრობათა შორის შეთანხმებათა პაკეტის ხელმოწერის ცერემონია.

ედუარდ შევარდნაძისა და თანსუ ჩილერის ერთობლივ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ განვლილი 3 წლის მანძილზე საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობაში ბევრი რამ გაკეთდა, რაც საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ მომავალ დიდ პროექტებზე. ხელმოწერილმა დოკუმენტებმა განსაზღვრეს ეკონომიკისა და ფინანსების დარგში ორმხრივი თანამშრომლობის თვისებრივად ახალ დონეზე განვითარება, შეთანხმდნენ საქართველოს მიერ 50 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის აღებული ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ, აგრეთვე, თურქეთისა და საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის თაობაზე საკითხის დაყენების შესახებ. ქალბატონმა თანსუ ჩილერმა კიდევ ერთხელ გამოთქვა სინანული და აღშფოთება 29 აგვისტოს ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის გამო.

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი ეწვია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. იგი აირჩიეს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. მან მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიაში, რომელიც სულეიმან დემირელის სახელობის კოლეჯის შენობაში გაიმართა.

თანსუ ჩილერის პატივსაცემად გაიმართა სადილი.

იმავე დღეს ქალბატონი თანსუ ჩილერი სამშობლოში გაემგზავრა.


საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნა.

1 ოქტომბერს თურქეთის დედაქალაქ ანკარიდან 400 კმ-ის დაშორებით აფიონის ოლქის ქალაქ დინარში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. მიწისძვრამ შეიწირა 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე, ხოლო დინარის რაიონი ფაქტობრივად მიწასთან გაასწორა.

თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა სამძიმარი გამოხატა დაღუპულთა ოჯახებისადმი, თანადგომა გამოუცხადა მეზობელი ქვეყნის მოსახლეობას და მაქსიმალური კონკრეტული დახმარება აღუთქვა ქვეყანას. ეს გულწრფელი სამძიმარი ქალაქ დინარის მოსახლეობის ხალხმრავალ შეკრებაზე წაიკითხა საქართველოს ელჩმა თურქეთის რესპუბლიკაში ნოდარ კომახიძემ. მოედანზე შეკრებილმა დინარის მოსახლეობამ უდიდესი კმაყოფილებით მიიღო მეზობელი საქართველოს ღრმა სამძიმარი. მოედანზე გაისმოდა შეძახილები — „იაშასინ გურჯისტან" — გაუმარჯოს საქართველოს!

საელჩოს ინფორმაციით, ეს იყო ამაღელვებელი და დაუვიწყარი შეხვედრა სტიქიურ უბედურებასთან შეჭიდებულ ადამიანებთან, ქართველი და თურქი ხალხების მეგობრობის ნათელი დემონსტრაცია.

1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს ახალ კონსტიტუციას.

კონსტიტუციის ტექსტს პირველმა ხელი მოაწერა პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

კონსტიტუციის ტექსტს ხელი მოაწერეს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ, სპიკერის მოადგილეებმა რუსუდან ბერიძემ, ვახტანგ რჩეულიშვილმა, პარლამენტარებმა და საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა.

საზეიმოდ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

1995 წლის 5 ნოემბერს საქართველოში პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. საქართველოს მოსახლეობამ საქართველოს პრეზიდენტად აირჩია ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც მხარი დაუჭირა 1.589.909 ამომრჩეველმა ანუ ამომრჩეველთა 74,32 პროცენტმა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის საქართველოს პრეზიდენტად არჩევას მთელი ცივილიზებული სამყარო მიესალმა. მის სახელზე მოვიდა ახლობით მილოცვა, ერთ-ერთი პირველი მისალოცი ბარათი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა გამოგზავნა.

ცოტა უფრო გვიან თურქეთში საქართველოს ელჩთან ნოდარ კომახიძესთან საუბარში სულეიმან დემირელმა განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძის გამარჯვების გამო. „ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ისეთ დიდ პიროვნებას, როგორიც ჩემი მეგობარი და ძმა ედუარდ შევარდნაძეა, ქართველი ხალხი ხმას მისცემდა და თავისი ქვეყნის ბედს ჩააბარებდა", — აღნიშნა მან.

26 ნოემბერს საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პრეზიდენტისა და პარლამენტის სასახლის წინა მოედანზე ფიცი დადო ღვთისა და ერის წინაშე.

„თქვენ მე ამირჩიეთ საქართველოს პრეზიდენტად და ამით უდიდესი პატივი მომაგეთ. მაგრამ ამავე დროს უდიდესი ისტორიული პასუხისმგებლობაც დამაკისრეთ და ეს მე კარგად მესმის. ისღა დამრჩენია გითხრათ, რომ კონკრეტული საქმეებით უნდა გავამართლო და კიდევაც გავამართლებ ამ უზარმაზარ ნდობას", — აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

როგორც აღვნიშნეთ, 31 ივლისს გაიმართა დაბა ვალესთან 6-7 კილომეტრზე მდებარე მეორე საკონტროლო პუნქტის გახსნის ცერემონია. მას შემდეგ კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდებოდა. და აი, 25 ნოემბერს საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე ამოქმედდა ეს საკონტროლო-გამშვები პუნქტი. ამ დღეს პუნქტმა პირველი მგზავრები გაატარა. ცერემონიას ესწრებოდნენ თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში თევფიქ უფუქ ოქიაუზი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მალხაზ კაკაბაძე, სხვა ოფიციალური პირები.

8 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თევფიქ უფუქ ოქიაუზი ქუთაისს ეწვია. იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა, ქალაქის მერმა თემურ შაშიაშვილმა ელჩი მიიწვია ქუთაისის ჩაის, შალის ქსოვილების ფაბრიკებში. ელჩი ასევე ეწვია საწარმო-სავაჭრო პალატას, უნივერსიტეტს, სადაც შეხვდა და ესაუბრა თურქ და ქართველ სტუდენტებს.

ბატონმა თევფიქ უფუქ ოქიაუზმა დახმარება აღუთქვა მასპინძლებს, განაცხადა, რომ ძალისხმევას არ დააკლებს, რათა დააინტერესოს თურქი მეწარმეები ქართველ კოლეგებთან სათანამშრომლოდ.

თურქეთის ელჩმა ბორის გაპონოვის სახელობის ფონდის თავმჯდომარეს ილია გაგულაშვილს გადასცა პრეზიდენტ სულეიმან დემირელის წერილი, სადაც იგი მადლობას უხდის ბატონ გაგულაშვილსა და ფონდის სხვა წევრებს, მისთვის ბორის გაპონოვის პრემიის მინიჭების გამო.

1996 წლის 3 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქეთის ელჩი საქართველოში თევფიქ უფუქ ოქიაუზი. თურქეთის ელჩმა ახალი წელი მიულოცა საქართველოს პრეზიდენტს, ამასთანავე გადასცა თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის ოფიციალური მიწვევა თურქეთის რესპუბლიკაში.

საქართველოს პრეზიდენტმა სთხოვა ელჩს, მადლობა გადაეცა თურქეთის პრეზიდენტისათვის მიწვევის გამო და გამოთქვა რწმენა, რომ მომავალი ვიზიტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

**აბესალომ იმედაშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

# მხოლოდ ფაქტები

თურქეთის გაზეთების ცნობებით კეთილდღეობის პარტიის ლიდერმა ნეჯმეთინ ერბაქანმა პრესკონფერენცია გამართა. მან განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მის პარტიას დახურავს, მის მაგივრად მაშინვე გაჩნდება ახალი პარტია, რაიონებში შეიქმნება ახალი ორგანიზაციები, „ვინაიდან ჩვენ პარტიაში 4 მილიონი წევრი გვყავს და სიდიდით იგი, არა მარტო თურქეთში, არამედ მსოფლიოშიც ყველაზე მრავალრიცხოვანია." შემდეგ მან დასძინა, რომ იმედი აქვს, „სასამართლო გონიერულ გადაწყვეტილებას მიიღებს და ჩვენს პარტიას არ აკრძალავს, რაც თურქეთში დემოკრატიის გამარჯვება იქნება."

* * *

9 ოქტომბერს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა დადებითად შეაფასა ახალი კოალიციური მთავრობის მიერ განვლილ პერიოდში, საგარეო პოლიტიკის სფეროში გაწეული მუშაობა. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებას, აღნიშნა, რომ სამი თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ნავთობსადენების გაყვანის მოგვარებისათვის. ამ მიზნით ჰქონდათ მოლაპარაკება აზერბაიჯანთან და საქართველოსთან, აშშ-თან, შეხვდნენ ბულგარეთისა და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს, მიაღწიეს შეთანხმებას ბალკანეთისა და აზიის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხში, რომელიც, როგორც მან აღნიშნა, „აღმოსავლეთისა და დასავლეთის დერეფანი" იქნება.

მიღწეულია შეთანხმება ირანთან, ამა წლის ნოემბერში ელჩების გაცვლის შესახებ.

სირიასთან მოლაპარაკებები გრძელდება.

კვიპროსის საკითხში რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადადგმულა, მაგრამ ზოგიერთი ქვეყანა უკვე მხარს თურქეთს უჭერს, — დასძინა ი. ჯემმა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ საბერძნეთთან ურთიერთობაში, არის სიძნელეები, რომლის დაძლევასაც თურქეთი ესწრაფვის.

ევროგაერთიანებასთან ურთიერთობა ი. ჯემმა შემდეგნაირად დაახასიათა: „თურქეთი კი არ სთხოვს დასავლეთს, ვინდა თუ არა ევროგაერთიანების წევრად მიგვიღეო, არამედ ცდილობს განუმარტოს მას, თუ რა დიდი შეცდომა იქნება თუკი თურქეთს ევროგაერთიანების წევრად არ მიიღებენ."

* * *

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ჩრდილოეთ ერაყში ჩატარებული სამხედრო ოპერაციები პკკ-ელთა წინააღმდეგ სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს. ე.წ. „შაფაკის" ოპერაციის დროს, როგორც იუწყებიან, მოკლეს 797 ტერორისტი, 837 კი ტყვედ ჩაიგდეს. აღსანიშნავია, რომ დახოცილთა შორის ყოველი მეათე ქალია. ამ პერიოდში თურქეთის მხრიდან დაიღუპა 11 და დაიჭრა 50 თურქი სამხედრო.

იუწყებიან, რომ თურქეთის ძალებმა დაიკავეს ზაფისა და ბაშიანის რეგიონები, რომლებსაც ადრე პკკ-ს ჯგუფები აკონტროლებდნენ.

მიმომხილველთა მონაცემებით ქურთმა ტერორისტებმა გადაინაცვლეს შავიზღვისპირა რეგიონებში. ამა წლის 12 ოქტომბერს გირესუნის ვილაიეთში ტერორისტებმა მოკლეს ორი და დაჭრეს 9 მოქალაქე. მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ ხალხი ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად ხელისუფლებისაგან იარაღს ითხოვს.

* * *

„ჩვენ მოვუწოდებთ თურქეთს სასწრაფოდ გამოიყვანოს თავისი ძალები ერაყიდან, გვწამს, უფრო სასარგებლო იქნება, თუ პრობლემის მოსაგვარებლად თურქეთი მიმართავს მშვიდობიანი მოლაპარაკების ფორმას, ვინაიდან ერაყის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას თურქეთის მხრიდან არ შეიძლება მოჰყვეს სასარგებლო შედეგი, ეს საზიანო იქნება მთელი რეგიონისთვისაც," — განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ოქტომბერში გაერომაც მოუწოდა თურქეთს გამოიყვანოს ჯარი ერაყიდან და მოსთხოვა პატივისცემით მოეპყრას ერაყის ტერიტორიულ მთლიანობას.

* * *

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა ომერ აქბელმა თურქეთ-საქართველოს საზღვარზე მომხდარი ინციდენტის თაობაზე შემდეგი განცხადება გააკეთა:

დადგენილია, რომ 1997 წლის 8 ოქტომბერს რუსეთის სახელმწიფო შვეულმფრენმა დაარღვია თურქეთ-საქართველოს საჰაერო საზღვარი. წინასწარი გამოძიებით ცნობილია, რომ თურქეთის სასაზღვრო ჯარის მიერ აღნიშნული შვეულმფრენის მიმართ ცეცხლი არ ყოფილა გახსნილი. მიმდინარეობს გამოძიება. აღნიშნული საკითხი ეხება თურქეთ-საქართველოს საზღვარს, ამიტომ მინდა შევნიშნო, რომ ჩვენი თანამოსაუბრე არის საქართველოს ოფიციალური ხელისუფლებაც.

* * *

ბრძელდება კრიზისი კვიპროსის გარშემო. გაზეთების ცნობებით სამხრეთ კვიპროსელებმა ბერძნების შეიარაღებული ძალების მონაწილეობით ჩაატარეს სამხედრო მანევრები. მიმომხილველები თვლიან, რომ მათ ამით დაარღვიეს აშშ-ს მიერ შემოღებული მორატორიუმი, რომლის მიხედვითაც კვიპროსის საჰაერო სივრცეში აკრძალულია როგორც თურქეთის, ისე კვიპროსის სამხედრო თვითმფრინავების ფრენა. დაძაბულობას კიდევ უფრო შეუწყო ხელი სამხრეთ კვიპროსში რუსეთის ელჩის მურადოვის განცხადებამ: „თუ თურქები შეეცდებიან დააბრკოლონ ის გემები, რომლებიც სამხრეთ კვიპროსისთვის განკუთვნილი რაკეტებით იქნება დატვირთული, ეს შეიძლება ომის საბაბი გახდეს".

* * *

აშშ პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი რიჩარდ ჰოლბრუკი 12 ოქტომბერს ანკარაში ჩავიდა და შეეცადა, იმ დაძაბული ვითარების შერბილებას, რაც საბერძნეთსა და თურქეთს შორის ბოლო პერიოდში აღინიშნება. ჰოლბრუკი შეხვდა თურქეთის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს, პრემიერ-მინისტრს მესუთ ილმაზს, ვიცე პრემიერს ბიულენთ ეჯევითს, საგარეო საქმეთა მინისტრს ისმაილ ჯემსა და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეს — ჩევიკ ბირს.

* * *

თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის ი. ქარადაის მოწვევით ანკარაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ისრაელის გენერალური შტაბის უფროსი ამნონ ლოპკინ შააქი. მოლაპარაკების ძირითადი საგანი იყო ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავება. მიმომხილველთა განცხადებით, ისრაელმა თურქეთს შესთავაზა თავისი წარმოების „მერქაბა-III" ტიპის ტანკების შესყიდვა.

მოლაპარაკების დროს ისაუბრეს ხმელთაშუა ზღვაზე ისრაელ-თურქეთ-აშშ-ს ერთობლივი სამხედრო მანევრების შესახებ, რომელიც უკვე სხვადასხვა მიზეზით ორჯერ გადაიდო, პირველად, ს. დემირელის ქაიროში ვიზიტის გამო, ხოლო მეორედ, აშშ-ს ინიციატივით.

ისრაელის გენშტაბის უფროსის ვიზიტის შემდეგ ანკარაში ელიან ისრაელის თავდაცვის მინისტრ ისაკ მორდეხაის.

* * *

13 ოქტომბერს ფინეთსა და შვეციაში გაემგზავრა პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბიულენთ ეჯევითი. როგორც გაზეთი „თურქიე" წერს, მან მოლაპარაკებები უნდა გამართოს აღნიშნული ქვეყნების პრემიერ-მინისტრებთან თურქეთის ევროგაერთიანებაში წევრად მიღების მხარდაჭერის თაობაზე. შემდეგ ბ. ეჯევითი ლუქსემბურში მიემგზავრება, სადაც ევროგაერთიანების შტაბ-ბინაა და სადაც უნდა გადაწყდეს თურქეთის ევროგაერთიანების წევრად მიღების საკითხი.

**მამუკა ქურიძე.**

## კონტრასტების ქვეყანა





*წლეულს, ზაფხულში თურქეთის ზოგიერთ რეგიონში უჩვეულო სიცხეები იყო. განსაკუთრებით ცხელოდა ივლისში ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, ანტალიაში ტემპერატურამ ჩრდილში 36 გრადუსს მიაღწია. პლაჟები დაცარიელდა. სიცხისაგან შეწუხებული დამსვენებლები შვებას აუზებში ეძებდნენ.*

*შავი ზღვის სანაპიროზე, ტრაპიზონის რეგიონში კი თოვლი მოვიდა.*

„მილლიეთი", 16, 07, 97.

# თურქეთის გაზეთებიდან

### პრეზიდენტ დემირელის წინადადება საპრეზიდენტო სისტემის შესახებ

პრეზიდენტმა ს. დემირელმა წამოაყენა წინადადება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რათა მთავრობა პარლამენტის ნაცვლად სახელმწიფოს მეთაურმა დანიშნოს. „იმისათვის, რომ თურქეთმა სტაბილურობას მიაღწიოს, საჭიროა საპრეზიდენტო სისტემაზე გადასვლა. არჩევნები ტარდება, მაგრამ მთავრობა ხშირად იცვლება. 4 წელი და სამი თვეა, რაც პრეზიდენტი ვარ, ამ ხნის განმავლობაში 6 მთავრობა დავამტკიცე. 65 მილიონიანი თურქეთი უფრო უკეთესად უნდა იმართებოდეს. ეს კი თურქეთს საპრეზიდენტო სისტემის ძიებისკენ წაიყვანს. მე მომხრე ვარ პრეზიდენტი ხალხმა აირჩიოს. საზოგადოებრივმა აზრმა მოისვენა, არმიაშიც სიმშვიდე სუფევს, მაგრამ ეს არის ისეთი სიმშვიდე, რომელიც ყურადღებას ითხოვს, თუ „რეაქციონიზმმა" თავი წამოყო, კვლავ შფოთი ატყდება. უნდა გავერთიანდეთ რესპუბლიკის ფუნდამენტური პრინციპების ირგვლივ," — განაცხადა ს. დემირელმა.

„ჰურიეთი", „ჯუმჰურიეთი", 18,09,97.

### თურქეთის მთავრობას განზრახული აქვს ხელისუფლებაში 2000 წლამდე დარჩეს

პრემიერ-მინისტრმა მესუთ ილმაზმა ბონში გამგზავრების წინ საინტერესო განცხადება გააკეთა: „სწორი გზის პარტიის ლიდერის თაობაზე საქმე კვლავ აღიძვრება, ქალბატონ თანსუ ჩილერის ხანა იწურება, უნდა გამოვლინდეს ის ურთიერთობები, რომელიც ჩილერის მფარველობით ჩატარებული ოპერაციების მიღმა იმალება, კვლავ უნდა დაისვას დღის წესრიგში ჩილერის ქონების საკითხი. მთავრობას განზრახული აქვს ხელისუფლებაში 2000 წლამდე დარჩეს. რადგანაც ს. დემირელის პრეზიდენტობის ვადა იწურება, შეიძლება დღევანდელ პარლამენტს 2000 წელს მოუწიოს პრეზიდენტის არჩევა. შეიძლება მივიღოთ უფრო მკაცრი სანქციები ისლამისტური დემონსტრაციების შესახებ.

*„ჰურიეთი", საბაჰი", 30,09,97.*

### ილმაზ-კოლის შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა

თურქეთის პრემიერ-მინისტრის მესუთ ილმაზისა და გერმანიის პრემიერ-მინისტრის კოლის შეხვედრამ მოსალოდნელზე უფრო თბილად ჩაიარა. „თქვენი პოლიტიკა თურქეთის ევროკავშირის წევრად მიღების თაობაზე დიდ ოპტიმიზმს გვინერგავს, უთხრა კოლმა თურქეთის პრემიერ-მინისტრს. თავის განცხადებაში მ. ილმაზმა აღნიშნა: „ჩვენ აქ ჩამოვედით იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ 12 კანდიდატი ქვეყნის სიაში თურქეთის შეყვანა, რაც გვსურდა, მივიღეთ". კოლის განცხადებაში ნათქვამია, რომ თურქეთმა მესუთ ილმაზის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში განიმტკიცა თავისი პოზიცია ევროკავშირში გაერთიანების თაობაზე. მაგრამ გერმანია თურქეთის სრულუფლებიან წევრად მიღებისათვის აყენებს შემდეგ პირობას: თურქებმა უარი უნდა თქვან ევროპაში თავისუფალი გადაადგილების უფლებებზე. თავისუფალი გადაადგილების უფლება გადაიდო სრულ წევრად მიღების შემდგომი პერიოდისათვის. თურქეთი გერმანიის სურვილს ამ ეტაპზე დათანხმდა. გადაწყდა, რომ ილმაზი და კოლი დეკემბერში უმაღლესი დონის შეხვედრების წინ, ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან.

*ყველა გაზეთი, 1,10,97.*

თურქულიდან თარგმნა
**მურმან ბელთაძე.**




# Eka Bakradze'den *Şiirler*

Türkçesi : ***Hasan ÇELİK***



Eka Bakradze, 13 yaşındayken

Eka Bakradze 1975'te doğmuş. Onu 1981 yılında dedesinin Haşuri'deki evinde görmüştüm. O zaman küçücüktü. Bir gün şair olacağını düşünmemiştim doğal olarak. Ondan sonra da kendisini görmedim. 1987'de ilk şiir kitabı yayımlandı, hem de bir şairler ülkesinde. O şimdi bir genç kız, ama ben özellikle çocukluğunda yazdığı şiirleri seçtim.

### მზე დასცინის თავისთავს

მზე გვირილას გაებუტა
მოუქუფრა გრუბელს,
და მის ახლოს წვიმისაგან
დააყენა გუბე.

გვირილა მზეს ტოლს არ უდებს,
ქარი კვდება სიცილით,
ახლავ უნდა შეგარჩიგოთ,
ვაი თქვენი სირცხვილი!

წვიმას თმები შეაკრიჭა,
მაცნე მზესთან აფრინა,
მზისდარს კაბა დაუსველდა
სხივზე უნდა გაფინო.

მერე გუბე პაწაწინა
კრიალა ცით გაივსო,
ეს გვირილა ბანაობს თუ
მზე დასცინის თავისთავს?

### güneş kendisiyle alay ediyor

güneş papatyaya küstü
bulutu okşadı
ve papatyanın yanında
bir yağmur göleti oluşturdu.

güneşe kafa tutuyor papatya
rüzgâr katılıyor gülmekten
çok ayıp bu yaptığınız
şimdi barıştırmalıyım sizleri

yağmurun saçlarını kesti
Haberci yolladı güneşe
ikizinin entarisi ıslanmış
ışınlara sersin diye

küçücük gölet sonra
doldu parlak gökyüzüyle
papatya mı yıkanıyor yoksa
alay mı ediyor güneş kendisiyle

(10 yaşında)



### კარდიოგრამა

მე სულ სხვა გზებით მოვედი თქვენთან,
ყოველგვარი ეჭვის გარეშე.
გრძელ ტალანებში,
უთვალავი კარების იქით
დამრჩა სითეთრე-როგორც სიმშვიდე
და საოცრების განცდის სურვილი.
თეთრი კედლები
კიდევ ბევრჯერ გამახსენებენ,
რომ უცნაურად რბილ მარწუხებში
შეიძლება გაშიფრო გული -
. . . . . . . .
- როგორც სიცოცხლის უძველესი
იეროგლიფი.
. . . . . . . .
მე არ ვიცი ეს დამწერლობა,
მე ვიცი მხოლოდ, რომ ამ ხაზებში
ურთულესი ფორმულაა გამოყვანილი,
მაგრამ ჯერ კიდევ ბევრჯერ უნდა გაიღოს
კარი,
სისხლის ბუნთულაც უნდა გავიღო,
მოიხურება კიდევ ერთი მკვეთი სითეთრე
და მე პირისპირ დავრჩები თქვენთან.
მაშინ ძალიან მინდოდა მეთქვა,
რასაც ვფიქრობდი,
უნდა უბრალოდ მეფიქრა - რასაც შემდეგ
გეტყოდით:
- რომ იმ დღეს ყველა გულზე ფაქიზი,
თბილი გული დამატარებდა გრძელ
ტალანებში,
გულებსა და სითეთრეს შორის.
. . . . . . . .
იქნება არც კი დამიჯეროთ,
მაგრამ მე მართლაც ამოვიკითხე
ურთულესი კარდიოგრამა...
- არავითარი ანალიზი,
არც სინჯარებში
აღარმფეთქავი გულების გამო
გაჩენილი გულისტკივილი.
გულების ამ მკაცრ სამფლობელოში
მე თქვენი თბილი გული ვიცანი,
როგორც სიკეთის დიდი მეგზური.
მაშინ ხსოვნაში
სითეთრე და გული ჩავტოვე -
. . . . . . . .
როგორც სიცოცხლის ურთულესი
იეროგლიფი.

### kardiyogram

bambaşka yollardan geldim
her türlü kuşkudan arınarak.
uzun dehlizlerde
sayısız kapıların ardında bıraktım -
beyazlığını sükûnetin
ve duyumsama dileğini mucizeleri.
defalarca hatırlatacak bana
beyaz duvarlar,
garip yumuşak büklümlerde
çözebileceğimi yüreğin şifresini -
. . . . . . . .
- tıpkı en eski hiyeroglifi hayatın.
. . . . . . . .
bu yazıyı bilmiyorum
yalnızca bildiğim bu çizgilerde
en zor denklemin çözüldüğüdür
fakat defalarca yine açılacak kapı

kan kabarcığını da sunacağım
parlak bir beyaz daha kararacak
ve ben sizinle yüz yüze kalacağım.
çok istiyordum o zaman söylemeyi
düşündüğümü
ya da düşünmeyi yalnızca -
sonra söyleyeceğim şeyi:
- o gün yüreklerin en temizi
en sıcağı gezdiriyordu beni uzun
dehlizlerde
beyazlar ve yürekler arasında.
. . . . . . . .
inanmayacaksınız bile belki
ama ben gerçekten okudum
en karmaşık kardiyogramı...
- tahlillerin hiçbir türlüsü
ne de tüplerdeki
atmayan yürekler nedeniyle
duyulan yürek sancısı.
yüreklerin bu kasvetli sultanlığında
erdemin büyük yoldaşı
sıcak yüreğinizi tanıdım
o an sığdırdım hafızama
yüreği ve beyazı -
. . . . . . . .
tıpkı hayatın en eski hiyeroglifi.

(11 yaşında)



ხიდი KÖPRÜ

ხიდი — საქართველო-თურქეთი — KÖPRÜ

საქართველოს რესპუბლიკა

№ 262, ოთხშაბათი, 22 ოქტომბერი, 1997 წელი.

ღვაწლის დაფასება

# აკადემიკოს სერგი ჯიქიას სახელობისა...

20 ოქტომბერს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გაიხსნა სახელოვანი ქართველი მეცნიერის, ქართული თურქოლოგიის ფუძემდებლის, თბილისის უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის დამაარსებლის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის შექმნის ერთ-ერთი მოთავისა და ამ ფაკულტეტის პირველი დეკანის, მსოფლიო სახელის მქონე თურქოლოგის, აკადემიკოს სერგი ჯიქიას სახელობის კაბინეტი.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა და ხელმძღვანელობდა თურქული ფილოლოგიის განყოფილებას, შეიკრიბნენ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები, ქართული მეცნიერების წარმომადგენლები, ბატონი სერგის მოწაფეები, ოჯახის წევრები.

სხდომა გახსნა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქული ფილოლოგიის განყოფილების გამგემ, პროფესორმა გიორგი შაყულაშვილმა.

სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსმა კ. წერეთელმა, დოც. გ. ბერაძემ, პროფესორებმა ა. ღლონტმა, მ. სვანიძემ, ნ. ლომოურმა, ნ. ჯანაშიამ, ა. გვახარიამ, დოც. გ. ანთელავამ, ბატონი სერგის ქალიშვილმა პროფესორმა მ. ჯიქიამ.

შეკრებას დაესწრნენ და სიტყვა წარმოთქვეს თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში ბატონმა თევფიქ უფუქ ოქიაუზმა, თურქეთის ელჩის მრჩეველმა კულტურის საკითხებში ბატონმა ისმაილ ილდიზმა.

თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა



ბატონმა თევფიქ უფუქ ოქიაუზმა კაბინეტს საჩუქრად გადასცა თურქეთში გამოცემული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა.

**მურმან ბელთაძე.**

წიგნი ჩვენებურებზე

# მნიშვნელოვანი გამოკვლევა თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე



მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა თურქოლოგმა, პროფესორმა მიხეილ სვანიძემ. გამოკვლევას „ქართველები თურქეთში“ დართული აქვს XIX საუკუნის თურქი ავტორის ისმეთზადე დოქტორი მეჰმედ არიფის ნაშრომის „ქართული სოფლები თურქეთში“ ქართული თარგმანი. თარგმანი ეკუთვნის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს მარინე ილურიძეს.



ქართველები თურქეთში

ქართული სოფლები (თურქეთში)

პროფ. მიხეილ სვანიძის გამოკვლევის პირველ თავში „ქართველების მუჰაჯირობა თურქეთში“ განხილულია ქართველთა გადასახლება თურქეთში 1878-1882 წლებში. ოფიციალური მონაცემებით, 1878 წლის 26 აგვისტოდან 1882 წლის თებერვლამდე ყარსის ოლქიდან თურქეთში გადასახლდა 111200 სული, ხოლო ბათუმის ოლქიდან – 38 000. ქართველების თურქეთში გადასახლება მრავალი მიზეზით იყო განპირობებული. მაგრამ თურქეთში ქართველთა გადასახლების მთავარი მიზეზი მაინც, როგორც მართებულად აღნიშნავს გამოკვლევის ავტორი, იყო ის აუტანელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომლებიც რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის კოლონიური პოლიტიკის შედეგად შეიქმნა თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებულ ძირძველ ქართულ მხარეებში.

გამოკვლევის მეორე თავში „ქართველი მუჰაჯირები თურქეთში“ პროფ. მიხეილ სვანიძე თურქული და ქართული წყაროების მონაცემების საფუძველზე განიხილავს თურქეთში გადასახლებული ქართველების ყოფა-ცხოვრებასა და საქმიანობას. პირველი ცნობები თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ მოგვაწოდა თურქმა ავტორმა მეჰმედ არიფმა. მან XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს იმოგზაურა ქალაქ სამსუნსა და მის მახლობლად მდებარე ქართულ სოფლებში. ამ მოგზაურობის დროს ყოველივე ნანახისა და გაგონილის შესახებ მან გაზეთში ვრცელი წერილი გამოაქვეყნა, ხოლო შემდეგ კი ეს მასალა ცალკე წიგნად გამოსცა. თურქი ავტორი გვაუწყებს, რომ მუჰაჯირმა ქართველებმა თავიანთი თავდადებული შრომით, ნიჭითა და უნარით ახლად დასახლებული, ტყითა და ბუჩქნარით დაფარული ადგილები კეთილმოწყობილ მხარედ გადააქციეს, გამოუსადეგარი მიწები ნოყიერი გახადეს, სოფლის მეურნეობა ააღორძინეს და კეთილდღეობას მიაღწიეს, ხოლო მათი თურქი მეზობლები, უუნარობისა და სიზარმაცის გამო, სიდუხჭირეში ცხოვრობდნენ.

1895 წელს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნდა ზაქარია ჭიჭინაძის წერილი „ქართველები ოსმალეთში“. 1909 წლიდან მოყოლებული საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება წერილები თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. მათი ავტორები არიან: ი. რაჭველიშვილი (მეხუმლა), უსახლკარო, ემილ-ეფენდი (ერმილე ნაკაშიძე), დ. ჩიქოვანი, ს. ფირცხალავა, ზ. ჭიჭინაძე, ჯევდეთ-ბეი და სხვ. გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა 1902,1909 და 1917 წლებში იმოგზაურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ამ მხარის არქიტექტურული ძეგლების შესწავლის მიზნით. ამასთანავე მან შეაგროვა და ჩაიწერა საყურადღებო ცნობები ამ მხარის ქართული მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, ისლამისა და თურქული ენის გავრცელების შესახებ. თურქეთში ქართველების ცხოვრებასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ევგენი დალეჯიო დალესიოს წიგნი „ქართველები კონსტანტინეპოლში“. 1908 წელს, სტამბოლში მცხოვრები ვ. წერეთლის თაოსნობით დაარსდა საქველმოქმედო საზოგადოება „ქართველთა ერთობა“. ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა თავის რიგებში გაეერთიანებინა სტამბოლში მცხოვრები როგორც კათოლიკე, ასევე მართლმადიდებელი და მუსლიმი ქართველები. საზოგადოება შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალურად ეხმარებოდა ხელმოკლე თანამემამულეებს.

პროფ. მიხეილ სვანიძის გამოკვლევის მესამე თავში „ქართველები სტამბოლში“ განხილულია ქართული მოსახლეობის ცხოვრება და მოღვაწეობა ოსმალეთის იმპერიის იმჟამინდელ დედაქალაქში – სტამბოლში, როგორც ირკვევა, ქართველებს ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერიის არსებობის დროს კონსტანტინეპოლში თავიანთი ახალშენი ჰქონიათ. თურქების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ ქართველები ერთად დასახლდნენ გალათაში, გურჯი-კაფუდ (ქართველთა კარად) წოდებულ უბანში. ქართველები ცხოვრობდნენ აგრეთვე სტამბოლის ვეზირ-ჰანედ წოდებულ უბანშიც. სტამბოლის ქართული ახალშენის მოსახლეობის დიდი ნაწილი მესხეთიდან იყო წამოსული. მათი უმრავლესობა კათოლიკეები იყვნენ, ქართველ კათოლიკეთა მომრავლებისა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად საჭირო გახდა სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის დაარსება. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა პეტრე ხარისჭირაშვილი. 1871 წელს სტამბოლის გარეუბანში ფერიქოიში დაფუძნდა ქართული კათოლიკური მონასტერი, იქვე გაიხსნა სკოლა, ხოლო 1870 წელს დაარსდა ქართული სტამბა.

გამოკვლევის მეოთხე თავში „ქართველები თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“ პროფ. მ. სვანიძე ამერიკელი მეცნიერების მაგნარელასა და ენდრიუს ნაშრომების მონაცემების ანალიზის საფუძველზე გვაძლევს თანამედროვე თურქეთში ქართული სოფლების ვრცელ ეთნოგრაფიულ და სტატისტიკურ სურათს. პროფ. ენდრიუს მონოგრაფიაში მოცემულია თანამედროვე თურქეთში არსებული ქართული სოფლების სია ვილაიეთების მიხედვით. როგორც ირკვევა, ქართული სოფლები ამასიის, ართვინის, ბალიქესირის, ბოლუს, ბურსის, გირესუნის, თოქათის, სტამბოლის, ქოჯაელის, ორდუს, რიზეს, საქარიას, სამსუნის, ყარსისა და ჩანაქქალეს ვილაეთებშია განლაგებული. ამავე თავში მოცემულია უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების თურქეთში არსებულ ქართულ დიასპორასთან კულტურული ურთიერთობის დაწვრილებითი აღწერა-დახასიათება.

პროფ. მიხეილ სვანიძის გამოკვლევა „ქართველები თურქეთში“ შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე ქართული, თურქული, ევროპული და ამერიკული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს გამოკვლევა თანამედროვე ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

**დავით გუდიაშვილი,**
აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

თარგმანი

## Nodar Dumbadze

# SONSUZLUK YASAK

□

Türkçesi: ALİ ALTUN
Yayına hazırlayan: MEHCURE KAKAURI

devam

"Beni yaşama döndürmenin anlamını anlayamadım. Yarın her şey yeniden başlasın diye mi? Yarın yine öleceğim, bu kaçınılmaz değil mi? Bunun için mi döndürdü?" dedi Baçana.

"Zaman!" dedi papaz bağırarak.

"Ne zamanı?" dedi Baçana hayretle.

"Senin yaşamının süresini uzattı ya!"

"Eninde sonunda öleceğime göre, artık ne zaman öleceğimin ne önemi var?"

"Senin için önemi olmayabilir; başkaları için önemli!" dedi papaz.

"Bu olayda, zamanın da hiç önemi yok. Ne kadar genç insan ölmüştür fakat yeryüzünde yaşam sürüyor."

"Nasıl zamanın değeri yok!" dedi ve deliye döndü papaz İoram. "Rustaveli beşikteyken ölseydi?"

"Başkası gelirdi!"

"Ne zaman?"

"Zamanın birinde."

"Zamanın birinde diyorsun, bunun için zaman gerekli değil mi? Rustaveli olmasaydı yaşadığı dönemde, zamanın ne değeri vardı değil mi?"

"Rustaveli dünyaya gelmeden önce zaman vardı ama?" dedi Baçana.

"Zaman vardı, ama Tanrı o zaman bizimle değildi," dedi papaz İoram, ağzı kuruduğu için şişeden su içti.

"Zamandır Tanrı, zaman! Siz komünistler zamanın değerini bilmediğiniz için Tanrı'ya inanmıyorsunuz. Gelişigüzel harcıyorsunuz zamanınızı. Zamana inanın. Zamanın önünde diz çökün, çünkü zaman Tanrı'dır. Eğer yeni bir inanç ya da din yaratmak istiyorsanız, zamandan başlayın. Başka türlü bir şey yapamazsınız..."

"İoram bey, hani Tanrı 'söz'dü?"

"Söz, iş ve zaman; bu ayrılmaz üçlüdür," dedi papaz İoram dua eder gibi.

"Eğer gerçekten Tanrı buysa, biz komünistler de kabul ediyoruz. Zamana da, işe de, söze de değer veriyoruz. Hatta Kilise'den bile çok..."

"Bu doğru değil. Sizlerde öyle tembeller var ki şimdiye kadar insanlık bunu görmedi," dedi papaz gülerek.

"Peki, papaz İoram, sizdeki tembeller görülmüş müdür? Tanrı bile mutluluğu öbür dünyada vaat ediyor," dedi Baçana bıyık altından gülerek.

"Öbür dünyadaki mutluluk ruhun bir definesidir. Ağırlığı tartılamıyan bu defineye ulaşmak için bütün yaşam gerek," diye açıkladı papaz.

"İnsanoğlunun elde ettiğini Tanrı'nın lütfu sanıyorsunuz. Dinimiz insanlara işkence etmeyi seviyor. İnsanlardan, gereğinden çok kurban istiyor..."

"Baçana bey, sizin şu sözleriniz ruhu öldürür! Bizim dinin temel kuralı var, ver fakat alma; hizmet et fakat egemen olma!"

"Papaz İoram, bütün bunlar güzel sözlerdir, karanlık, dinsel bağnazlık, dogmatizm, savaşlar, gaddarlık... Ve bütün bunlar Tanrı adına yapılıyor..." diye Baçana Kilise'nin günühlarını parmaklarıyla saydı.

"Dinimizin tam olgunluğa ulaştığını söylemiyorum.." dedi papaz duraksayarak.

"Aferin, ilk kez bir din adamından böyle sözler işitiyorum. Bunun adı ne? Bu düşünce sizde sağcılık olarak mı, solculuk olarak mı kabul ediliyor?"

Baçana yürekten güldü sonunda.

devamı var

სარედაქციო კოლეგია:
აბესალომ იმედაშვილი (რედაქტორი), ანზორ ბასილაია, მურმან ბელთაძე, ნელი გურგენიძე, ოთარ დოლიძე, მიხეილ სვანიძე, ნოდარ შენგელია, ჯემალ ძარაზანიშვილი, ნოდარ ჯანაშია.
ტელ: 99-73-01.

## მძღოლი, გზა, საგზაო პოლიცია

# შემაშფოთებელი სტატისტიკა

როგორც შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრიდან გვაცნობეს, მეჯამდა მიმდინარე წლის 9 თვეში საქართველოს გზებზე და გზაჯვარედინებზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამო შექმნილი ოპერატიული ვითარება, რამაც საკმაოდ დამაფიქრებელი სურათი წარმოადგინა:

1997 წლის 9 თვეში ქვეყნის ტერიტორიაზე დაფიქსირდა 1149 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაიღუპა 274, დაშავდა 1441 ადამიანი. შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15-ით მეტი სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, 27 ადამიანით ნაკლები დაიღუპა და 17-ით ნაკლები ადამიანი დაზიანდა.

მოხდა ექვსი მძიმეშედეგიანი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა: საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტომაგისტრალების პირველ და მესამე განყოფილების სამოქმედო ტერიტორიებზე დაიღუპა 6 და დაშავდა 2 ადამიანი, ვანის რაიონში დაიღუპა 1, დაშავდა 18 ადამიანი, ქ. ქუთაისთან 11 დაიღუპა, 31 დაშავდა, აჭარაში, ხულოს რაიონში 1 დაიღუპა, 9 დაშავდა, ლაგოდეხის რაიონში 5 დაიღუპა, 2 დაშავდა!

ავტოავარიების 49 პროცენტი საჭესთან მძღოლის სიმთვრალის, სიჩქარის გადაჭარბებისა და გასწრების წესების უგულებელყოფის გამო მოხდა.

ამ პერიოდში საქართველოში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის 391739 ფაქტი დაფიქსირდა.

გამოვლინდა ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის 11930 შემთხვევა (ამ მიზეზით მოხდა 107 ავტოავარია); დადგენილი სიჩქარის გადაჭარბების 51504 ფაქტი (ამ მიზეზით აღირიცხა 352 ავარია); გასწრების წესების დარღვევის 29051 ფაქტი (ამ მიზეზით მოხდა 110 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა).

წლეულს, 9 თვეში საქართველოში რეგისტრირებულია უცხო ქვეყნების მძღოლთა მიერ მომხდარი 22 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. დაიღუპა 8, დაშავდა 23 ადამიანი. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მოხდა 10-ით მეტი საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა, 8 ადამიანით ნაკლები დაიღუპა და 12-ით ნაკლებმა მიიღო სხეულის დაზიანება.

ამავე პერიოდში გამოვლინდა მათ მიერ დაშვებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის 311 ფაქტი, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის 41, პოლიციის მუშაკების მოთხოვნათა შეუსრულებლობის 109 ფაქტი.

1997 წლის 9 თვეში, როგორც უშუალოდ საგზაო პოლიციის მუშაკთა მიერ, ასევე პოლიციის სხვა დანაყოფებთან ერთად გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა დროს ჩადენილი 127 სისხლის სამართლის დანაშაული. გამოვლენილია 27 ძებნილი, დაკავებულია სატრანსპორტო საშუალებათა ხუთი გამტაცებელი.

გამოვლენილია ნარკომანიის 14 ფაქტი, ამოღებულია 34 გრამი „ოპიუმი", 32,4 გრ. ანაშა და 165 სხვადასხვა ძლიერმოქმედი აბი.

ამოღებულია „მაკაროვის" სისტემის 2 პისტოლეტი და ერთი ცალი „აკს" სისტემის ავტომატი.

როგორც ვხედავთ, საგზაო პოლიცია კეთილსინდისიერად მუშაობს – ავლენს და აფიქსირებს ჩვენი მძღოლების დანაშაულებრივი დაუდევრობით ჩადენილ – პირდაპირ ვთქვათ – უმძიმეს დანაშაულს. წარმოიდგინოთ, სულ 9 თვეში გზებზე დაგვეღუპა 274 ადამიანი! სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო 1.441-მა თანამოქალაქემ. ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს ციფრები მართლაც შემაშფოთებელია. **ძნელია, ამ მშრალი სტატისტიკის მიღმა ნათლად დავინახოთ ავტოავარიათა გამომწვევი მიზეზები, თუმცა, ისიც ნათელია, რომ ჩვენი გზების სივიწროვე და კეთილმოუწყობლობა უეჭველად განაპირობებს ავტოსაგზაო შემთხვევებს, მაგრამ ძირითადად მაინც თავად მძღოლების დაუდევრობა, ხშირ შემთხვევაში, საგზაო მოძრაობის წესების არცოდნა გახლავთ ამ უბედურებათა თავიდათავი.**

**აქ კი ისევ საგზაო პოლიციის შესაბამისმა სამსახურებმა უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა: საჭესთან არ უნდა მივუშვათ ადამიანები, რომლებიც დღესაც ახერხებენ სხვადასხვა გზებით მართვის მოწმობის ხელში ჩაგდებას, შემდეგ კი იოლად აგდებენ საფრთხეში ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.**



**ანდრო ბარძაია.**

## გამოცა

# „ქართლის ცხოვრების ქრონიკები"

გამოვიდა ცნობილი მწერლის ვახტანგ ჭელიძის გახმაურებული წიგნი „ქართლის ცხოვრების ქრონიკები".

დღეს, როცა წიგნს მყიდველი აღარა ჰყავს, დღეს, როცა წიგნის მოყვარულს ფული არა აქვს, ხოლო ფულიანის უმეტესობა ნაკლებმოყვარული ყოფილა წიგნისა, სწორედ მაშინ დაისგამბა და მზის სინათლე იხილა წიგნმა, რომლის გული და აზრი წყვდიადის საწინააღმდეგოდაა მიმართული.

მახსენდება მარმანდელი საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორესი, იგი ბრძანებს: „წმიდა ივერიის მკვიდრნო, გვწამს ღვთის შეწევნით მწუხარება ჩვენი სიხარულად შეიცვლება და მშვიდობა და კეთილდღეობა იზეიმებს ჩვენს სამშობლოში".

რას ვიტყვით მაშინ? ზურგი ვაქციეთ ქართულ წიგნს და „თამარიონში" ვქეიფობდითო? დღეში 500 დოლარს ვხარჯავდით და თვეში 5 ლარს ვერ ვიმეტებდით ქართული წიგნისთვისო? მაშ, როგორ შეიცვლება მწუხარება სიხარულად? მაშ, როგორ იზეიმებს მშვიდობა და კეთილდღეობა ჩვენს სამშობლოში?

ვინც რა უნდა თქვას და დღეს ჩვენ ღრმა ძილით გვძინავს. თუ გამოვიღვიძებთ და უმალ ძმას მოვკლავთ... მრისხანების ტყვეობაში წიგნი აღარ იკითხება. უწმინდესი და უნეტარესი საშობაო ეპისტოლეში ბრძანებდა: „გაცილებით ადვილია ეკლესიის აგება და ეკონომიკის აღდგენა, ვიდრე სულის დარღვეული ტაძრის ამენება". სულის დარღვეული ტაძარი არ აშენდება, თუ ქართველმა კაცმა უარყო ქართული წიგნი... შენ არ ყიდულობ „ვეფხისტყაოსანს", შენ არ ყიდულობ „ქართველი ერის ისტორიას", შენ არ გაინტერესებს „ქართლის ცხოვრება", არ გაინტერესებს ის საინტერესო წყაროები, რომელზეც დაფუძნებულია მთელი ჩვენი დღევანდელობა (ღმერთმა დაგვიფაროს, რომ არ იყვნენ გამონაკლისები, მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან).

თუ გინდათ იგრძნოთ ქართველი კაცის ნიჭი და ხასიათი, იგრძნოთ სუნთქვა ჩვენი დიდი ისტორიისა, წაიკითხეთ გამოჩენილი ქართველი მწერლის ვახტანგ ჭელიძის წიგნი „ქართლის ცხოვრების ქრონიკები".

პირველი ტომის მესავალში წერია: „როგორც ვხედავთ, მდიდარია ჩვენი ისტორიული მეცნიერება და მაინც მწვავედ იგრძნობა საჭიროება ისეთი წიგნისა, რომელიც პოპულარულად მოუთხრობს მკითხველს ქართველი ხალხის ცხოვრების ამბავს უძველესი დროიდან დღემდე. წინამდებარე წიგნის მიზანია, ნაწილობრივ მაინც შეავსოს ეს ხარვეზი – ჩვენი მეცნიერების მდიდარი მონაპოვრის გამოყენებით მოუთხროს ახალგაზრდებს ქართველი ხალხის ისტორიის მთავარი ეპიზოდები, გაუცოცხლოს მათ ჩვენი ხალხის თავდადებული, პატიოსანი შრომისა და ასეთივე თავდადებული და პატიოსანი ბრძოლის სურათები, შეიყვაროს ისტორია და ერთგვარი საფუძველიც მოუმზადოს საგნის უფრო ღრმა და მეცნიერული შესწავლისათვის".

ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკები" განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მწერლობაში. იგი ყველა ქართველის ბიბლიოთეკას უნდა ამშვენებდეს.

**ჯანსუღ ჩარკვიანი.**

## ხსოვნა



### რევაზ კირვალიძე

საქართველოს ნიადაგმცოდნეთა რიგებს გამოაკლდა ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის პროფესორი **რევაზ ისიდორეს ძე კირვალიძე.**

რევაზ კირვალიძე დაიბადა 1928 წელს ქ.თბილისში. 1945 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინების დიპლომით დაამთავრა 1951 წელს. ამ დროიდან მოყოლებული თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ის მოღვაწეობდა მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელში ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე, სადაც განვლო გზა რიგითი ლაბორანტიდან პროფესორობამდე. რევაზ კირვალიძეს 1958 წელს მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, ხოლო 1991 წელს დაუმტკიცდა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

რევაზ კირვალიძემ ფართო და წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოში ნიადაგმცოდნეობის მეცნიერების განვითარების საქმეში. მან საქართველოს ნიადაგების კვლევას მიუძღვნა 150-მდე ნაშრომი, მათ შორის ავტორია მრავალი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოსი, რომლებზეც ნიადაგმცოდნეთა თაობები აღიზარდა. განსაკუთრებით უდიდესია პროფესორ რევაზ კირვალიძის დამსახურება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ნიადაგმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო მუზეუმის შექმნაში, რომელსაც ის მრავალი ათეული წლების მანძილზე უშუალოდ მზრუნველობდა და ხელმძღვანელობდა.

პროფესორი რევაზ კირვალიძე იყო არა მარტო მეცნიერი ნიადაგმცოდნე და აგრონომი, არამედ ის იყო ფართო დიაპაზონის უაღრესად განსწავლული პიროვნება, რომელიც უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტებში, ასპირანტებსა და კოლეგებს შორის. ბატონი რევაზი იყო უაღრესად სათნო, მოკრძალებული და უპრეტენზიო ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ფიქრობდა ჩვენი ერის ბედნიერ მომავალზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებულია ნიადაგმცოდნეთა მთელი თაობები, მათ შორის მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ ღირსეული მასწავლებლის საქმეს.

სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობაში დიდი დამსახურებისათვის პროფესორი რევაზ კირვალიძე მრავალჯერ იყო დაჯილდოებული საკავშირო სოფლის მეურნეობის და უმაღლესი განათლების სამინისტროებისა და საქართველოს მთავრობის მიერ.

პროფესორ რევაზ კირვალიძის ხსოვნა მარად დარჩება მისი აღზრდილებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო;
საქართველოს განათლების სამინისტრო;
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი.

### ივანე კვეკვესქირი



გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, გამოცდილი პარტიული მოღვაწე, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ივანე კვეკვესქირი.

ი. კვეკვესქირი დაიბადა 1907 წელს გალში. ომამდე მუშაობდა საშუალო სკოლის [illegible] ბრძოლის ეპიზოდების შესახებ. იგი დაჯილდოებულია 3 ორდენითა და 17 საბრძოლო მედლით.

ომის შემდეგ მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ი. კვეკვესქირმა უმაღლეს სკოლაში ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეს მოახმარა.

ვალმოხდილი მამულიშვილის, კრისტალური პიროვნების, მზრუნველი მეოჯახისა და საყვარელი დიდი ბაბუის ი. კვეკვესქირის ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების, აღზრდილებისა და ახლობელთა მეხსიერებაში.

საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭო.

### თამარ მაჭავარიანი

პედაგოგიურ საზოგადოებას გამოკლდა სიცოცხლით სავსე, კაცთმოყვარე, გულისხმიერი და უაღრესად ნიჭიერი ადამიანი – საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი **თამარ შალვას ასული მაჭავარიანი.** სისხლსავსე პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაიფერფლა მისი მშფოთვარე სიცოცხლე.

ქალბატონი თამარი დაიბადა 1943 წლის 25 მარტს ქ.თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1960 წელს დაამთავრა 47-ე საშუალო სკოლა, 1970 წელს კი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში. აქვე 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1988 წლიდან მუშაობა დაიწყო 53-ე საშუალო სკოლაში მეთოდისტ-მასწავლებლად, 1995 წლის მაისიდან დღემდე იყო საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში.

სამსახურებრივი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ქ-ნი თამარი აქტიურად მონაწილეობდა ქიმიის სასწავლო ლიტერატურის შექმნასა და სწავლების მეთოდიკის დახვეწაში, ქიმიის ექსპერიმენტული და თეორიული სწავლების ხარისხის ამაღლებაში. მისი მეთოდური სახელმძღვანელოები სამაგიდო წიგნად იქცა ქიმიის მასწავლებლებისათვის. სულიერად ლამაზი, სპეტაკი ზნეობისა და კეთილშობილი გრძნობების ადამიანი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მასწავლებლის წმინდა სახელს. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქიმიის პედაგოგთა საატესტაციო ტესტების საავტორო ჯგუფს და მზად იყო საათობით, უანგაროდ გაეზიარებინა თითოეული პედაგოგისათვის თავისი უბადლო ნიჭის და გონიერების წყალობით შეძენილი ცოდნა.

დიდია ქ-ნი თამარის ღვაწლი ქიმიის პედაგოგთა სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალის „ქიმია და ბიოლოგია" ახლადდაფუძნების საქმეში. მისი სამუშაო ოთახის ფართო მაგიდაზე დარჩა ამ ჟურნალის პირველი ნომრისთვის განკუთვნილი, მის მიერ კორექტირებული სტატიები...

თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალზე, ღვაწლმოსილი, მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტად პროფესიონალი პედაგოგი, მოსიყვარულე მეგობარი, უბრალოდ – ღირსეული ადამიანი და დაგვიტოვა უსაზღვრო სევდა.

საქართველოს განათლების სამინისტრო;
საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური საბჭო;
საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის რექტორატი.

## ფაქტი

# თურმე, დეპუტატებსაც არ ულხინთ...

გუშინ დილით მთაწმინდაზე მიხეილ ზიჩის ქუჩაზე დაინგრა ორ-[illegible] ნია, ავარიულ მდგომარეობაშია. აქ მიწისქვეშა წყალგაყვანილობა დამსკდარია და გრუნტი წყლით არის გაჟღენთილი.

ნგრევის შედეგად დაზარალდა ორი ოჯახი, საბედნიეროდ, ამჯერად მსხვერპლი არ არის. როგორც ერთ-ერთმა დაზარალებულმა, სახლის ბინადარმა, პარლამენტარმა ნესტან კირთაძემ აღნიშნა, – ეს ნგრევა ყოველთვის იყო მოსალოდნელი. დღეს ჩვენი სახლი დაინგრა, ხვალ შეიძლება მეზობელი სახლები დაინგრეს... ხუთი წლის მანძილზე მივმართავდით ყველას, ვისაც ეს ეხებოდა, მოდიოდნენ ექსპერტები და გამოჰქონდათ დასკვნა, რომ ამ სახლში ცხოვრება არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ წასასვლელი არსად გვქონდა. ბოლოს, მიწისქვე-[illegible] გვიანი აღმოჩნდა, სახლი თავზე ჩამოგვენგრა...





იქნებ, ამ ფაქტის შემდეგ მაინც გამოიჩინონ შესაბამისმა ორგანოებმა ყურადღება, ძალისხმევა და დაიცვან რაიონის მობინადრეები მოსალოდნელი უბედურებისაგან.

**ლელა დონაძე.**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნუგზარ ფოფხაძეს ძმის

თამაზ ფოფხაძის

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის პროკურატურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ამირან სხიერელს

ელენე სპირიდონის ასულ სხიერელის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ევგენია, შვილები ალექსანდრე, კონსტანტინე, შვილიშვილები ზურაბი, ეკატერინე, ელენე, რძლები ირინა პატარიძე, ნინო ძოწენიძე [illegible] რეიძის დედა ქალბატონი

ეთერ ხვარამეიშვილი-კოხრეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 21, 22 X 5 ს. დაკრძალვა 23 X, 2 ს. ჩოდრიშვილის ქუჩა №83.

---

მეუღლე თემურ ქერქაძე, შვილები გოგა, ლია, დედა თამარი, ძმა ოლეგ მეგინეიშვილი, მამამთილი გრიშა, მული მარინე, რძალი ციცინო, სიძე რეზო პაიჭაძე, ძმისწულები, მულიშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანა მეგინეიშვილი – ქერქაძე

პანაშვიდი 25 X 5 სთ. დაკრძალვა 26 X, 4 სთ. ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ხიდისთავი.

---

დედა ნათელი ონაშვილი, მამა გურამ პაპინაშვილი, და მაია ჯიჯეიშვილი, სიძე ავთანდილ გოჩაშვილი, დისწულები ბექა, ლევანი, ახლობლები იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

გიორგი გურამის ძე პაპინაშვილი

პანაშვიდი 23, 24 X, გამოსვენება 25 X, 3 ს. ი. ჭავჭავაძის გამზირი 75, IV კორპუსი, II სადარბაზო.

---

თბილისის პროკურატურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს პროკურატურის განყოფილების უფროსი

გიორგი (გიგი) პაპინაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ნანი, თამაზი, დათო, და მარო, რძლები ნელი, მაყვალა, ლიკა, სიძე ვანიკო ღლონტი, შვილიშვილები რუსიკო, დათო, თეა, ანი, გიორგი, იკა, ძმისწული ბორის გიორგაძე, დისწულები ნოდარ, გურამ ძიძიშვილები, ლადო ჭანუყვაძე ოჯახებით, ცოლისდა მაღლენა კვაჭანტირაძე ოჯახით, მძახლები სერგო გელაშვილი, ეთერ, გოგი ბალარჯიშვილები, შვილთაშვილები გვანცა, გიორგი, ბაკო, ანო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ილიას ძე გიორგაძე

დაკრძალვა 28 X 2 ს. ოზურგეთის რაიონი, სოფ. ცხემლისხიდი.

---

მეუღლე ნუნუ კიკაბიძე, შვილი ილია, და თინა, რძალი ნინო ახალაია, შვილიშვილი ანა, დისწული ვაჟა პაპასკირი, სიძე ავთანდილ ცქიტიშვილი, ცოლისდა მერი, ცოლისძმა ზაური, ქვისლი ირაკლი გრატიაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ ილიას ძე კალანდარიშვილი

პანაშვიდი 22, 23, 24 X, 4 ს. მიცვალებულის ბინაზე – გამსახურდიას გამზირი № 2, მე-5 სადარბაზო. გამოსვენება 25 X, 3 ს. საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიიდან, უზნაძის 117.

---

გიგლა, ზემფირა, ზვიად, ზურაბ ახალაიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ ილიას ძე კალანდარიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ეგრისის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ფილოსოფიისა და ეკონომიკური თეორიების კათედრის გამგე, პროფესორი

ვახტანგ ილიას ძე კალანდარიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა მიწათმოქმედების კათედრის დოცენტი, საქართველოს დამსახურებული აგრონომი

იური ნიკოლოზის ძე ფერაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა



### რუბენ მიხეილის ძე სიორიძე

დაიბადა 1911 წლის 29 დეკემბერს, მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურში. 1938 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რთული და საპატიო გზით იარა მთელი სიცოცხლის მა-[illegible] ობდა ქობულეთის ტორფის ქარხნის დირექტორად, შემდეგ სსს-ის დირექტორად, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად. 1957 წლიდან კი პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის II მდივნად, შემდეგ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. 1964 წლიდან კვლავ პარტიულ სამუშაოზეა. 1964-73 წლებში იყო საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი. 1973 წლიდან პენსიაზე გასვლამდე მცენართა დაცვის რესპუბლიკური სადგურის უფროსია.

ორჯერ იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მრავალჯერ აჭარის, იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, დაჯილდოებული იყო ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენებით და სხვადასხვა მედლებით. ვისთანაც კი ჰქონდა ურთიერთობა, ყველასთან იყო პირნათელი. მშრომელი, დაუზარელი და მართალი კაცის მაგალითზე გაიზარდნენ და დღესაც იზრდებიან მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომლებიც არასოდეს დაივიწყებენ საყვარელი მამისა და ბაბუის სახელს და იამაყებენ თავიანთი ღირსეული წინაპრით.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო;
მცენარეთა დაცვის რესპუბლიკური სადგური.

## გახსენება

### გოგი ლებანიძე

20 წელი გავიდა, შვილო, მაგრამ...
დრონი გადის, განა დარდი ქრება?
დედას შეუძლია შენი დავიწყება?
ყოველ ზარის ხმაზე კართან გელოდება
და ეს მოლოდინი წლობით მეორდება.

დედაშენი.





### გურამ ლომინაძე

ორმოცი დღეა, მშობლიურმა მიწამ მიიბარა შენი სხეული, ჩვენო **გურამ!**

ტკივილი, მხოლოდ ტკივილი და სევდა სუფევს შენს ოჯახში. გული მოუკალი ყველას შენი უცაბედი გარდაცვალებით – მეუღლეს, დებს, შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს.

ძნელია იმის დაჯერება, რომ შენ, ენერგიით, სიცოცხლით, იუმორით ალსავსე კაცი, ასე უეცრად დანებდი სიკვდილს...

ღიმილით განისვენებდი, ჩემო გურამ, ჩვენო ძმაო, ჩვენო მამიკო, საყვარელო ბაბუა, შენი ჩვეული ღიმილით...

ორმოცი დღეა, შეუშრობელი ცრემლით დაგტირის შენი ერთგული, საყვარელი მეუღლე. ერთადერთი ნატვრაღა დარჩენია ოცნებად – მარადიულ სასუფეველში შეხვედრა...

ორმოცი დღეა, იცრემლება, იწვის და ილევენთება შენს სახელზე ანთებული სანთლები!

უფალო, ნათელში ამყოფე ჩვენი გურამის სული!

ოჯახი.

## მილოცვა

თბილისის საერო უნივერსიტეტის „აღმაშენებელი" პროფესორ-მასწავლებლები და გამომცემლობა „მესხეთის" სარედაქციო კოლეგია ულოცავს ამავე უნივერსიტეტის რექტორს და გამომცემლობის გენერალურ დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, დოცენტს, მწერალსა და ჟურნალისტს ბატონ რობერტ კიკნაძეს – ღირსების ორდენს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას და ახალ პედაგოგიურ და შემოქმედებით გამარჯვებებს.

## ყურადღება!

**ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები" გაცნობებთ, რომ 25.10.97-დან ტექნიკური მიზეზების გამო შეჩერებულია ავიარეისის შესრულება ამსტერდამის მიმართულებით. რეისის განახლების შესახებ დამატებით გაცნობებთ.**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი – შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.